ქართველობის გადასარჩენად
# ილორი
№ 51 (113) 26 იანვარი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გილოცავთ დაბადების დღეს!

## მე სხვისი საბნის ქვეშ არ ვიხედები!

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია 6

## ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4



გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"



## "ბოკა ხუნიორსი" ბუენოს-აირესი, არგენტინა. 12



## საქართველო საერთაშორისო არენაზე 1918-1921 წლებში

თემურ ქორიძე 10



9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## ხრიგინა პარლამენტი — ანუ საპროტესტოდ განწყობილთათვის მოუხელთებელი ხელისუფლება

3 რ. შალამბერიძე

ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთხელ აფხაზეთზე



**(ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას)**

თუ გავიზიარებთ ბერძენი ლოგოგრაფოსის ჰეკატე მილეთელის (ძვ. წ. აღ. VI საუკ.) ცნობას, რომლის მიხედვითაც მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაშია და მესხები კოლხები არიან, სამხრეთ საქართველოც კოლხეთის საზღვრებში უნდა ვიგულისხმოთ, რასაც ანგარიშგასაწევს ხდის ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოში დღესაც ძალზე ბევრ მეგრულ ტოპონიმს ვხვდებით.

მართალია, დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს ბერძნებმა კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრ მოსახლეებს ეგრებს (მეგრელებს) კოლხები დაარქვეს, მაგრამ მის ტერიტორიაზე დასახელებული არიან სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომები – მაკრონები, თუბალები, ტაოელები, ხალდები, ხალიბები, სანიგები, შკვითინები, მისიმიანები, ჰენიოხები, მოსინიკები, ტიბარენები, დრილები, კერკეტები და ა.შ.

სამწუხაროდ, არსებული ისტორიული წყაროები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ ზუსტად დადგინდეს მათი ვინაობა.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსის ტომებია, რომელთა ასიმილირება მოახდინეს კოლხებმა (მეგრელებმა) და მათ მონაწილეობა მიიღეს კოლხური (მეგრული) ეთნოსის ჩამოყალიბებაში, ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი კოლხური (მეგრული) ეთნოსის ტომებია და ამ სახელებით იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. ბოლო მოსაზრებას ემხრობა მეცნიერების უმრავლესობა, მათ შორის ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი დიდი ივანე ჯავახიშვილი. მით უმეტეს, თუ რამეა შემორჩენილი, რაც მეტყველებს მათ ვინაობაზე, ფაქტობრივად, თითქმის ყველაფერი მეგრულია.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან, იმ ეპოქაში, არათუ რაიმე მნიშვნელოვანი დასახლება, არამედ საგვარეულოც კი, თავის თავს ერად მიიჩნევდა და თავის ეროვნებად თვლიდა იმ კუთხის დასახელებას, რომლის მკვიდრიც იყო. მით უმეტეს, ეს ტომები, ხშირად, ხანგრძლივად იყვნენ ერთმანეთისგან მოწყვეტილნი და, ალბათ სწორი წარმოდგენა არ ჰქონდათ, არც თავიანთ ვინაობაზე და არც ერთმანეთზე, მაგრამ რადგანაც ბერძნებმა ამ ტომებს დაარქვეს ერთი სახელი – **"კოლხები"**, ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ეგრისის სამეფოს მკვიდრები, ეგრები (მეგრელები) იყვნენ და ბუნებრივია, მათი ენა იყო მეგრული, ან მეგრული ენის ესა თუ ის კილოკავი.

მართლაც, დღესაც, ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე, იქნება ეს თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის თუ სომხეთის საზღვრები, ძირითადად, მხოლოდ მეგრული ტოპონიმებია შემორჩენილი.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორია ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, ფაქტობრივად, ყოველთვის (ეგრისის) სამეფოს ისტორიაა, მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოსგან დამოუკიდებელი იბერიის (ქართლის) სამეფო.

დაახლოებით ამ ეპოქაში წარმოჩინდა ალბანეთის სამეფოც.

მართალია, ძნელია ზუსტად დადგინდეს, შედიოდა თუ არა აღმოსავლეთ საქართველო კოლხეთის (ეგრისის) შემადგენლობაში და ჩაითვალონ თუ არა იბერები (ქართლელები) კოლხების (მეგრელების) მემკვიდრეებად, მაგრამ არსებობს რეალური საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იბერებში (ქართლელებში) და კოლხებში (მეგრელებში) საერთო ეთნოსის დომინანტი იყოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ვერსიასაც, რომ იბერიას (ქართლს) საფუძველი ჩაუყარეს მესხებმა, შესაძლებელია იმის დაშვება, ვინაიდან კოლხები მესხები იყვნენ და მესხეთი კოლხეთში შედიოდა.

ეს ასე იყო თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან საქართველოს ისტორია, ფაქტობრივად, იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ისტორიაა.

სწორედ ამ სამეფოების გაერთიანებაში მდგომარეობდა ერთიანი საქართველოს იდეა და კოლხებისა (მეგრელების) და იბერების (ქართლელების) ერთიანობაში იყო ქართველი ერის ჩამოყალიბების არსი.

საბედნიეროდ, ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობეს, რომ იბერიისა და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები გაერთიანებულიყვნენ და იბერები (ქართლელები) (IX საუკ.) და კოლხები (მეგრელები) ერთად ყოფილიყვნენ.

სათანადოდ, ქართველი ერის ძირითადი შემოქმედნი არიან იბერები (ქართლელები) და კოლხები (მეგრელები).

ბუნებრივია, გაერთიანების ეპოქაში, (XI-XV ს.ს.) როგორც მოიაზრებოდნენ იბერების (ქართლელების) ქვეშ კახელები, მესხები, ჯავახები, მთიულები, ასევე მოიაზრებოდნენ კოლხების (მეგრელების) ქვეშ ლაზ-ჭანები, აფხაზები, სვანები.

სამწუხაროდ, თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად იყო საქართველო ერთიანი.

როგორც **"ქართლის ცხოვრება"** გვამცნობს, იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები პირველად ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაში (ძვ. წ.აღ. IV-III ს.ს.) გაერთიანდა.

ეს იყო ეროვნული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლხეთის (ეგრისის) მეფის ქუჯის პიროვნება. მცხეთის მამასახლისის ძმისწულმა ფარნავაზმა სთხოვა ქუჯის, დახმარებოდა იბერიის (ქართლის) მეფის, ბერძენი აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში და, მისი დამარცხების შემდგომ, გაეერთიანებინათ სამეფოები და ერთიანი საქართველოს მეფე ქუჯი გამხდარიყო. ქუჯიმ დახმარებაზე სრული მხარდაჭერა აღუთქვა, მაგრამ კატეგორიულლად უარი თქვა წინადადებაზე და დიდსულოვნად დაუთმო მეფობა ახალგაზრდა ფარნავაზს.

უდავოდ აღფრთოვანებას იწვევს ქუჯის საქციელი – ის უკვე დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) მეფე იყო, მაგრამ მან დათმო ეს ტიტული და რიგით ერისთავობას დათანხმდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო ყოფილიყო ერთიანი, რაც, ვფიქრობ, უპრეცედენტო მოვლენაა, არა თუ საქართველოს, არამედ კაცობრიობის ისტორიაში.

ეს იყო ეროვნული თვითშეგნების და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის უმაღლესი გამოვლინება.

მართალია, ეს მოვლენა სხვა უცხოური წყაროებით არ დასტურდება და არც საქართველოში განვითარებული ისტორიული მოვლენები მეტყველებენ ამ გაერთიანების რეალურობაზე, მაგრამ **"ქართლის ცხოვრებაში"** აღწერილი ეს მოვლენა ქართველი ხალხის მეხსიერებაში ერთიანი საქართველოს და ერთიანი ქართველი ერის სიმბოლოდ დარჩა.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქას იბერიისა (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები ისევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოებად შეხვდნენ.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი დღემდე ვერ ეღირსა სრულყოფილ და ობიექტურ საქართველოს ისტორიას, რასაც გამართლება არა აქვს, მაგრამ იბერიის (ქართლის) სამეფოს ისტორია ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში მეტ-ნაკლებად არსებობს, ხოლო კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ისტორია თითქმის შეუსწავლელია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მას არც უარსებია, ან თუ არსებობდა, მხოლოდ ნომინალურად, მაშინ როდესაც, დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლი და კოლხების (მეგრელების) დამსახურება საქართველოს ისტორიაში უაღრესად დიდია.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყისში, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო პონტოს სამეფომ დაიპყრო, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს რომის იმპერიამ.

ფიქრობენ, რომ რომაელებმა, თითქოს, გააუქმეს კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, მაგრამ ის მაინც მოიცავდა ტერიტორიას მცირე აზიიდან ნიკოფსიამდე (დღ. ტუაფსე) და აღმოსავლეთით ლიხამდე.

ამდენად ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო აშკარად დასუსტებული ჩანს.

მართალია, V საუკუნეში კოლხეთის (ეგრისის) სამეფო ისევ აღდგენილია, მაგრამ ის მოექცა ახლადწარმოქმნილი ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში.

როგორც აღვნიშნე ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახელებული არიან სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომები, რომლებიც კოლხურ (მეგრულ) ტერიტორიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ისინი, ფაქტობრივად, უკვე არ სჩანან, მაგრამ, სანაცვლოდ, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილეში წარმოჩინდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, მარგვეთის, აფხაზეთის და ლაზ-ჭანეთის საერისთავოები. სათანადოდ, ამ საერისთავოების ტერიტორიაზე მცხოვრები წვრილ-წვრილი ტომები ამის შემდეგ იწოდებოდნენ მარგველებად, აფხაზებად, ლაზებად და ჭანებად, ბუნებრივია, ამას არავითარი ეთნიკური ცვლილებები არ მოჰყოლია – მარგვეთში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა მარგველი, აფხაზეთში მცხოვრებს – აფხაზი, ლაზეთში – ლაზი, ჭანეთში – ჭანი, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად მეგრული ენის მარგველურ-აფხაზურ-ლაზური კილოკავები და ისინი, როგორც მეგრელების ტიპიური წარმომადგენლები, I-II საუკუნეებიდან ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში, გარკვეულ ტერიტორიებს უხსოვარი დროიდან ერქვათ მარგვეთი, აფხაზეთი, ლაზეთი და ჭანეთი, მაგრამ ისინი ისტორიაში არ ჩანდნენ, რადგანაც ადრე ისინი ადმინისტრაციული ერთეულები არ ყოფილან.

ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორც გურიისა და გურულების წარმოჩენასთან დაკავშირებით – გურია, როგორც ეგრისის სამეფოს რიგითი ტერიტორიის დასახელება, უხსოვარი დროიდან არსებობდა (გური – მეგრულად გულს ნიშნავს), მაგრამ ეგრისის ისტორიაში XII საუკუნემდე არ ჩანდა, ვინაიდან ის ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა; ხოლო მას შემდეგ, რაც გურია ერთ-ერთი საერისთავო გახდა, ეგრისის სამეფოს ისტორიაში ჩნდება ცნებები **"გურია"** და **"გურულები"**.

სწორედ ასე გაჩნდნენ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ცნებები **"მარგვეთი"**, **"ლაზიკა"**, **"აფხაზეთი"** და **"მარგველები"**, **"ლაზები"** და **"აფხაზები"**, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. **"ქართლის ცხოვრებაში"** შეტანილია ლეონტი მროველის მიერ შედგენილი ლეგენდა კავკასიის ხალხების წარმოშობაზე. ლეგენდის თანახმად, თითქოს ისინი ბიბლიური ნოეს შთამომავლები ყოფილან – იაფეტის ძმისწულს თარგამოსს კავკასიაში დაუსახლებია თავისი რვა შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი.

სწორედ ისინი ითვლებიან კავკასიის ხალხების ეთნარქებად.

ეტყობა, მროველს პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა, როდესაც ამ ლეგენდას ქმნიდა. ალბათ უნდოდა ერწმუნათ კავკასიის ხალხებს, რომ ისინი ერთი ეთნოსის მატარებელი მოძმე ხალხებია, მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი იმდენად განსხვავებული ეთნოსის ხალხებია, რომ ამ ლეგენდამ აზრი დაჰკარგა.

ჩემი აზრით, ლეონტი მროველი არც იმაშია მართალი, რომ ქართველებს სამი სხვადასხვა ეთნარქი მიუჩინა – ქართლოსი, ჰეროსი და ეგროსი. ამით მან, ქართლელებისა და მეგრელების ურთიერთდამოკიდებულება მათი სხვა კავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების რანგში აიყვანა და გარკვეული ზღვარი წარმოშვა ქართლელებსა და მეგრელებს შორის, მაშინ როდესაც, მას სრული მორალური უფლება ჰქონდა, მათთვის ერთი ეთნარქი, ან ქართლოსი, ან ეგროსი მიეჩინა, მით უმეტეს, მისი შედგენის ეპოქაში (XI-XII ს.ს.) საქართველო ერთიანი იყო.

მართალია, მროველს ქართველთა ეთნარქად მხოლოდ ქართლოსი მიაჩნია, მაგრამ შემდგომში ქართველმა მეცნიერებმა ჰეროსიც და ეგროსიც ქართველების ეთნარქებად აღიარეს, ვინაიდან ქართველი ერის შემოქმედები სწორედ ეს ხალხებია.

რით ხელმძღვანელობდა ამ ლეგენდის შედგენისას ლეონტი მროველი და რა ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის შესანიშნავად იცნობდა ლეგენდის შედგენის ეპოქაში (XI-XII ს.ს.) კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს.

მან კარგად იცის, რა მდგომარეობაა იბერიაში (ქართლში), მას ქართლოსი მიაჩნია ქართველების ეთნარქად და ასახელებს ქართლოსის შვილებს – კახოსს, კუხოსს, მცხეთოს, გაჩიოს და გარდაბოს, რომლებიც ქართლში არსებული კუთხეების მკვიდრების წინაპრებად მიაჩნია.

მროველი, სრულიად კანონზომიერად მიიჩნევს, რომ კახეთში მცხოვრებ ქართლელს **"კახელი"** ჰქვია, ჯავახეთში მცხოვრებს **"ჯავახი"** და ა.შ.

რადგანაც მროველმა მთელი დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს მოსახლეობას ერთი ეთნარქი, ეგროსი მიუჩინა, მეტყველებს იმაზე, რომ ის ეგრისის ძირითად მოსახლეობად მიიჩნევს ეგრებს (მეგრელებს), მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის აფხაზიც, ლაზიც, ჭანიც, მარგველიც და სვანიც.

ის დარწმუნებულია, როგორც კახეთში მცხოვრებ ქართლელს ჰქვია **"კახელი"**, ისე აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს ჰქცია **"აფხაზი"**, ლაზეთში მცხოვრებს **"ლაზი"** და ა.შ.

თუ ლეონტი მროველი ეგროსის შვილებსაც დაასახელებდა, ბუნებრივია, მათი სახელები იქნებოდა **"მარგველოსი"**, **"აფხაზოსი"**, **"ჭანოსი"** **და** **"სვანოსი"**.

თუ გავიზიარებთ ბერძენი ლოგოგრაფოსის ჰეკატე მილეთელის (ძვ. წ. აღ. VI საუკ.) ცნობას, რომლის მიხედვითაც მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაშია და მესხები კოლხები არიან, სამხრეთ საქართველოც კოლხეთის საზღვრებში უნდა ვიგულისხმოთ, რასაც ანგარიშგასაწევს ხდის ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოში დღესაც ძალზე ბევრ მეგრულ ტოპონიმს ვხვდებით.

მართალია, დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს ბერძნებმა კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრ მოსახლეებს ეგრებს (მეგრელებს) კოლხები დაარქვეს, მაგრამ მის ტერიტორიაზე დასახელებული არიან სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომები – მაკრონები, თუბალები, ტაოელები, ხალდები, ხალიბები, სანიგები, შკვითინები, მისიმიანები, ჰენიოხები, მოსინიკები, ტიბარენები, დრილები, კერკეტები და ა.შ.

სამწუხაროდ, არსებული ისტორიული წყაროები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ ზუსტად დადგინდეს მათი ვინაობა.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსის ტომებია, რომელთა ასიმილირება მოახდინეს კოლხებმა (მეგრელებმა) და მათ მონაწილეობა მიიღეს კოლხური (მეგრული) ეთნოსის ჩამოყალიბებაში, ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი კოლხური (მეგრული) ეთნოსის ტომებია და ამ სახელებით იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. ბოლო მოსაზრებას ემხრობა მეცნიერების უმრავლესობა, მთ შორის ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი დიდი ივანე ჯავახიშვილი. მით უმეტეს, თუ რამეა შემორჩენილი, რაც მეტყველებს მათ ვინაობაზე, ფაქტობრივად, თითქმის ყველაფერი მეგრულია.

**ანზორ შონია**, აკადემიკოსი

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს პატრიარქი ილია მეორე 77 წლის გახდა



სიონის საკათედრი ტაძარში პატრიარქის დაბადების დღისადმი მიძღვნილი პარაკლისი გაიმართა.

სამადლობელი პარაკლისი მისმა უწმინდესობამ, კათოლიკოს-პატრიარქმა გადაიხადა, რომელმაც უფალს მადლობა გადაუხადა და საქართველოსა და ქართველი ერის გამთლიანება შესთხოვა.

– ღმერთმა ინებოს ჩვენი და საქართველოს მშვიდობა და სიცოცხლე, უფალმა გაამთლიანოს, გააერთიანოს და გააძლიეროს სრულიად საქართველო ! – ბრძანა უწმინდესმა.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ ილია მეორე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს რუსეთში, რაც, რატომღაც, პირად შეურაცხყოფად მიაჩნიათ საქართველოს უმწიფარ თუ ფარული ინტერესების მქონე ხელისუფალთ. ყველას კარგად ახსოვს, რომ როცა საქართველოს პატრიარქი მისკოვში ჩაბრძანდა პერევის საკითხის მოსაგვარებლად, მას მუხლზე დაჩოქილნი მიეგებნენ რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი, რაც თავისთავად მეტყველებს ამ პიროვნებისამდი მოწიწებასა და უსაზღვრო პატივისცემაზე. პატრიარქმა მოაგვარა კიდეც პერევიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის საკითხი, მაგრამ შურით აღვსილმა სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ უაზრო ქმედებებითა და განცხადებებით ჩაშალა პატრიარქის ინიციატივა და იმერული სოფელი პერევი კვლავ საქართველოს ფარგლებს მიღმა დარჩა. ასევე არად აგდებს საქართველოს ხელისუფლება ილია მეორეს მუდმივ მოწოდებებს იმის თაობაზე, რომ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების გარეშე სრულიად უსარგებლო იქნება საქართველოს გასამთლიანებლად გადადგმული ყოველი ნაბიჯი.

დღეს საქართველოს პატრიარქი და წმინდა სინოდი არის ერთადერთი ძალა, რომელიც რეალურად უპირისპირდება საქართველოს ანტიქართული ხელისუფლების მტრულ პოლიტიკას ჩვენი სამშობლოსა და მისი ხალხის მიმართ, რაც გამოიხატება ქვეყნის სულიერების მიზანმიმართულად ნგრევაში და ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგებაში, რაც აიძულებს ქართველ ადამიანს სამშობლოდან შორს გადაიხვეწოს, ლუკმა-პურის საშოვრად. ეს კი ქმნის იმის რეალურს საშიშროებას, რომ ქვეყნის განადგურებაზე მოტივირებულმა ხელისუფლებამ არაადამიანურ გზას მიმართოს პატრიარქისა და წმინდა სინოდის გასანეიტრალებლად, და თუ ამას არ აკეთებენ, მხოლოდ ქართველი ხალხისადმი მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით, რადგან ჭეშმარიტად დიდია ხალხში უწმინდესისა და უნეტარესისადმი მოწიწება და სიყვარული...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის დაბადების დღის მისალოცად სიონის საკათედრო ტაძარში უამრავი ადამიანი, მათ შორის საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები და მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ შეკრებილნი. ცნობისათვის, საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს 77 წელი შეუსრულდა.

გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი სტუდენტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს სახელობის სტიპენდიას მიიღებს. ესენი არიან უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე სემესტრის ორი დოქტორანტი მაია მადუაშვილი და ნათია ფიფია და ასევე ერთი მაგისტრანტი ნათელა დუნდუა.

პატრიარქის სახელობის სტიპენდიის გაცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასულ წელს დაიწყო და ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ნაშრომებისათვის ორმა სტუდენტმა უკვე მოიპოვა.

# ხრიგინა პარლამენტი — ანუ საპროტესტოდ განწყობილთათვის მოუხელთებელი ხელისუფლება

დასამალი არაა, რომ მართლაც აღდგენილ-გალამაზებული სიღნაღის შემდეგ ქუთაისი მეორე მოდურ ქალაქად იქცა საქართველოს ხელისუფლებისათვის. ქართველებისათვის ეს ამბავი ნამდვილად არ უნდა იყოს საწყენი და შეურაცხმყოფელი, რომ არა კვლავ სახელისუფლებო ვანდალიზმი, რომელიც გამოიხატა ქუთაისში დადგმული დიდების მემორიალის მართლაც ვანდალურად დანგრევაში, რამაც უმანკო ბავშვისა და მისი დედის სიცოცხლე შეიწირა. მაგრამ უდანაშაულო ადამიანთა სისხლზე დაგეშილი არაქართული ხელისუფლისათვის ეს მორიგი სტატისტიკური მინიშნება გახლდათ და არა უეროვნებო ძლიერთა მიერ ქართველ ხალხზე თავს დატეხილი მორიგი ეროვნული ტრაგედია.

ისე, თუ ირონიას მოვიშველიებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა მეგრელებმა გაიგეს საქართველოს პარლამენტი ქუთაისში გადადისო, სიხარულისაგან თურმე კინაღამ გონი დაჰკარგეს: თუ ეს მართლა ასეა, მაშინ სამეგრელოში, სულ მცირე, პრეზიდენტის რეზიდენციის ფილიალი მაინც უნდა გაიხსნას, რადგან წინა არჩევნებში ყველაზე მეტი საარჩევნო ხმა სააკაშვილმა სამეგრელოდან წაიღო (უფრო სწორად – წააღებინესო). იქვე თურმე მთელი რაჭა მინდორზე დანთებული კოცონის გარშემო ცეკვავდა გახარებული: შარშან რაჭველმა ბავშვმა აიღო ყველაზე მეტი ქულა ეროვნულ გამოცდებში და, როგორც მინიმუმი, რაჭაში განათლების სამინისტრო მაინც უნდა გადმოიტანონო! სვანებს რაღა გააჩერებდათ, იმ სვანებს, რომელთაც საქართველოს ხელისუფლება ტურისტული კუთხით **„საქართველოს მთის ვენეციად“** გარდასახვას ჰპირდებიან, და მათაც სვანური ბუბუნით დაარისხეს: ტურიზმის დეპარტამენტი სწორედაც რომ სვანეთში უნდა დაფუძვნდესო.

ხელისუფალთაგან განსხვავებით, პარლამენტის ქუთაისში გადატანის იდეა აშკარად არ მოიწონა ოპოზიციამ, რომელსაც ხომ საერთოდ ვერაფერს გაუგებ. აუჩემებიათ, ეს დამატებით და უაზრო ხარჯებთან იქნება დაკავშირებულიო, თითქოს საქართველოს ხელისუფლებას აქამდე არ ეხარჯოს უაზროდ და უზნეოდ ქართველი ხალხის კუთვნილი თანხები.

აი, ოპოზიციის უმთავრესი არგუმენტი: **„მთელი პარლამენტი საფუძვლიანად რომ გადადიოდეს ქუთაისში, კიდევ ჰო, მაგრამ სამი კვირით თბილისში სესიები და ერთი კვირით ქუთაისში, რა უბედურებაა, ვერ გაგვიგია! ვერ ჩავწვდით ამ იდეის აზრს. პარლამენტს, მოგეხსენებათ, დამატებითი ხარჯები ესაჭიროება. ხომ წარ-**



**მოგიდგენიათ გათბობის, განათების და სხვა ხარჯები რა თანხებთანაა დაკავშირებული? ამას ემატება პარლამენტარების მგზავრობის, იქ სასტუმროების ხარჯები და სხვა ათასნაირი პრობლემა და წინააღმდეგობა...„**

თქვენ ნუ დარდობთ, ღრმად პატივცემულო ოპოზიციონერებო! ჩვენ, საქართველოს ისედაც გაძვალტყავებულ-გაუბედურებული მოსახლეობა უყოყმანოდ გადავიხდით მაგ ხარჯებს (ცოტა გადაგვიხდია და ზურგზე ტყავი აგვიხდია თუ რა?!), კიდევ გავიძრობთ სამმაგ ტყავს, ვიშიმშილებთ, სიცივეში ვიცახცახებთ და სიბნელეში ვივლით ხელის ცეცებით, ოღონდ ორ-ორი პარლამენტი და ასევე ორ-ორი პრეზიდენტის **„რეიხსტაგირებული„** სასახლე გვქონდეს! ხელისუფლებას არც კომფორტულ სასტუმროებში როსკიპებთან კოტრიალსა და ნებივრობას მოვაკლებთ და არც უშუქობით გამოვუღამებთ თვალებს!

ამ მსხვერპლზე იმიტომ წავალთ კიდევ ერთხელ, რომ იქნებ ახლა მაინც დაგვადგეს დიდი ხნის მონატრებული საშველი და თბილისში მიღებულ, საზოგადოებისათვის ყოვლად მიუღებელ კანონებს, იქნებ ქუთაისში მიღებულმა კანონებმა აჯობოს?!

ერთი, რაზედაც გული გვწყდება, ის არის, რომ საქართველოს სხვა კუთხეთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი გურულები გამოგვრჩა. მათ რომ გული არ ვატკინოთ, ორ სიტყვას გურულებზეც მოგახსენებთ.

თავიდან ძალიან გვიკვირდა, როგორ მოუვიდა თავში საქართველოს ხელისუფლებას მოძრავი პარლამენტის შექმნის იდეა. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს იდეა მათ სწორედ გურულებმა უკარნახეს.

როგორ?

გავიხსენოთ შესანიშნავი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებ **„მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“** აღწერილი კოლმეურნეობის კრება, სადაც მუდმივად იხილება საკითხი იმის თაობაზე, რომ, როგორ გადაიტანონ კოლმეურნეობის კანტორა ახლადარჩეულ თავმჯდომარის სახლთან ახლოს, რათა ამ უკანასკნელმა ძვირფასი დროის დიდი ნაწილი არ მოახმაროს სამსახურში მისვლას:

**„– რას შვრება შენი მანქანა, ხომ კარგადაა? – ჰკითხა ილიკომ დუტუიე შოფერს.**

**– გმადლობთ, არა უშავს...**

**– ზედმეტი ოთხი ბორბალი არ გაქვს რომ გვაჩუქო?**

**– ბორბალი რად გინდა ილიკო?**

**– რად მინდა? დავუყენოთ კანტორას და გავაგოროთ და გამოვაგოროთ, გავაგოროთ და გამოვაგოროთ!..“**

ასე რომ, თქვენი ხმა აღარ გავიგოთ, გურულებო, რათა კიდევ სხვა **„გენიალური“** აზრები აღარ უკარნახოთ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც უკვე უიმედოდაა გახლართული საკუთარ **„გენიალურ იდეათა”** ქსელში.

ერთადერთი, რასაც შეიძლება დავაჯეროთ, არის ის, რომ გურიაში გაიხსნას საქართველოს **“წყალკანალის”** სათაო ოფისი. ალბათ უზომოდ ამბიციური გურულები იკითხავენ: **“წყალკანალი”** რა თავში სახლელად გვინდა, მით უმეტეს, როცა მეგრელები პრეზიდენტის რეზიდენციის ზუგდიდში გადატანაზე აცხადებენ პრეტენზიასო?!

ახლავე აგიხსნით!

კარგად მოგეხსენებათ, რომ მოთხოვნები საჭიროებას პასუხობენ, გურიაში კი ყველა გუბის დასაშრობად და კანალიზაციის შესაკეთებლად ტრაქტორი და სხვა ტექნიკა ქუთაისმა უნდა გამოჰყოს. მოკლედ, გურიის სამივე რაიონში გუბეებისა და წუმპეების დაშრობას ქუთაისური ნებართვა სჭირდება! ნამდვილად არ მოსწონთ გურულებს, ვიღაც ქუთაისლებს რომ აქვთ მათი კანალიზაციის საქმე მიბარებული. არც ისაა გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქუთაისლები გურულებზე გაბრაზდნენ და ხელერთპირად წუმპეში ჩაახრჩონ ისინი.

საქართველოს მასმედიამ უკვე გაავრცელა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ ამდენი სტრუქტურის აშენებას თანხები და დრო სჭირდება, რომელიც არ ითმენს. ჩვენ კი ყველაფერში გვინდა დროს დავასწროთ. არავის ეგონოს, რომ ჩიხში ვართ მოქცეულები – აღმოჩნდა, რომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს იაპონელებიც კითხულობენ, რომელთაც თურმე ბორბლებიანი შენობები გამოუგონებიათ, რომლებსაც ხან იქით გააგორებენ, ხან აქეთ! მოგინდება და, პარლამენტს ქუთაისში გააგორებ, ხოლო თუ ქუთაისლებმა რამე გაწყენინეს, მერე სვანეთში აახრიგინებ ბორბლებიან პარლამენტს, თუ სვანებიც არ მოგეწონა, ტრაქტორი და მისი ჯანი – ერთ დღეში მთათუშეთში ახრიგინებული პარლამენტიდან გადმოხედავ სრულიად საქართველოს და გემოზე შეუკურთხავ ხელისუფლებაზე გაბრაზებულ ხალხს...

თანაც, ეს **“ინტრიგანი”** და თავს გასული ოპოზიცია მოგდებს შარს – დამატებითი მშენებლობა დამატებით ხარჯებს მოითხოვსო!

აბა, წინ, ტრაქტორზე ამხედრებულო ხელისუფალო!

მაგრამ, ფრთხილად, ემანდ არსად გადაიჩეხო, თორემ, თუ მთელს არა, ნახევარ საქართველოს მაინც სიხარულის ელდა მოუღებს ბოლოს!!!

**გვერდი მოამზადა**
**რ. შალამბერიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია



*სერგეი კრემლიოვი*

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

შემდეგ იაკოვლევმა განმარტა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიაში კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომ კანდიდატებს არავითარი წინასწარი პირობა არ წარედგინებათ, რომ არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტ ხმებს მიიღებს და ა.შ.

მაგრამ, არც ეს იყო ყველაფერი!

შეეხო რა ადგილობრივი საბჭოების სექციათა მუშაობის კონტროლის სისტემას, იაკოვლევმა თქვა:

**„უმრავლეს შემთხვევაში, როცა სექციები იჩენენ ინიციატივას, მოითხოვენ კორექტივებს და აკრიტიკებენ ხელმძღვანელებს, ეს ხელმძღვანელები ახშობენ ინიციატივას და უარს აცხადებენ სექციების მუშაობაში მონაწილეობაზე... მათ უნდა შეიგნონ, რომ არ არსებობენ ადამიანები, რომელთა საქმიანობა კონტროლს არ დაექვემდებარება, რომ ყველა მუშაკის საქმიანობის კონტროლი საბჭოების საყრდენს წარმოადგენს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავაუმჯობესოთ საბჭოების მუშაობა...“**

შეიძლება მკითხველს ეს სიტყვები ძალზე განზოგადოებულად მოეჩვენოს და ჩვეულებრივ ლაყბობად ჩათვალოს იგი, თუნდაც ისეთად, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბრეჟნევ-გორბაჩოვის ეპოქაში. მაგრამ ეს სტენოგრამა გასაიდუმლოებული იყო 2005 წლამდე. ეს არ არის პროპაგანდა ან აგიტაცია. ეს გახლდათ პრაქტიკული ნაბიჯი, ინსტრუქცია, გნებავთ, დირექტივა...

ამიტომაა მნიშვნელოვანი იაკოვლევის შემდეგი სიტყვები:

**„რა თქმა უნდა, ბიუროკრატთა მიერ კანონებისა და მცნებების ურთიერთაღრევა ანტისაბჭოთა ქმედებაა...“**

მაშ ასე:

**„საბჭოების პარტუჯრედები, განსაკუთრებით აღმასრულებელ კომიტეტებში, ხშირად იქცევიან საბჭოების შემცვლელ ორგანოებად, ყველაფერს თავად წყვეტენ და საბჭოებს მხოლოდ მათი დამოწმება უხდება... ამიტომ, აუცილებელია პოლიტბიუროს წინაშე დადგეს საბჭოთა პარტუჯრედების გაუქმებისა და წესდებაში შესაბამისი ცვლილების საკითხი...“**

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იაკოვლევი ახმოვანებდა საკუთარ აზრსაც და სტალინის შეხედულებებსაც.

მაინც ვინ იყო ეს იაკობ არკადის ძე იაკოვლევი, უფრო სწორად — იაკობ არკადის ძე ეპშტეინი? იგი უდავოდ ნიჭიერი პიროვნება გახლდათ, საკმაოდ გაურკვეველი ბედით. სწავლობდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ არ დაუმთავრებია, პოლიტიკაში წასვლის გამო. ბოლშევიკია 1913 წლიდან, იყო ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, შემდეგ კი ახალ წყობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო გაზეთების **„სიღარიბისა“** და **„გლეხთა გაზეთის“** რედაქტორი, ესე იგი, იყო კარგი ლიტერატორი და საკმაოდ ნიჭიერი პიროვნება.

ტროცკისთან მას ურთიერთობა არ ჰქონია. პირიქით, ტროცკი ზოგჯერ თავში უკაკუნებდა, რადგან იგი **„მემარცხენე“** იყო, იაკოვლევი კი **„მარჯვნივ“** იხრებოდა. ერთ დროს კი ძალზე სერიოზულად გადაიხარა. 1929 წლის დეკემბერში იგი სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ მიწათმოქმედების საკავშირო სახალხო კომისარიატს და სწორედ მას მიაწერდნენ **„კოლექტივიზაციის ყველა საშინელებას“**, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.

1934 წლის აპრილიდან იაკოვლევი ხელმძღვანელობდა ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილებას, 1936 წლის ოქტომბრიდან ფაქტიურად ასრულებდა ცეკას პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას (ფორმალური თავმჯდომარე ეჟოვი კი მთელ თავის დროს შინსახკომს ახმარდა).

იაკოვლევი ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთი თანაავტორი იყო ბუხარინსა და სტალინთან ერთად. ივნისის პლენუმის მასალებზე ალბათ მანაც წაიმუშავა, მაგრამ საერთო ჩანაფიქრი მაინც სტალინს ეკუთვნოდა. და ამის მიხედვით საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად საბჭოების ხელში გადადიოდა.

1921 წელს ესერთა მიერ მოწყობილი კრონშტადტის ამბოხი დემაგოგური დევიზით წარიმართა: **„საბჭოები კომუნისტთა გარეშე“!** სტალინის ხელისუფლებამ კი, იგრძნო რა სახელმწიფოში პარტნომენკლატურის დიქტატურის დამყარების საშიშროება, წამოაყენა ლოზუნგი: **„საბჭოები პარტოკრატების გარეშე, მაგრამ კომუნისტთა იდეური ხელმძღვანელობით“!**

ესეც შენ! პლენუმი საშიში ხდებოდა პარტიული **„ბელადუკებისათვის!“**

ასეთი პერსპექტივა აშკარად არ ახარებდათ ახლადგამოჩეკილ პარტიულ **„ბოსებს“**. მაგრამ იგი სიხარულს არც ძველ ბოლშევიკებს გვრიდა.

აქ კი მოლოტოვმა დაამატა:

**„უნდა შევიგნოთ, ამხანაგებო, რომ ძველი პარტიული კრიტერიუმები ახლა აღარ გამოგვადგება. ამაზე რამდენჯერმე მიგვითითა ამხანაგმა სტალინმა. აქვს რევოლუციამდელი პარტიული მუშაობის სტაჟი... მონაწილეობდა ოქტომბრის რევოლუციაში... მიიღო დამსახურებები სამოქალაქო ომში... ებრძოდა ტროცკისტებს... ეს არაა საკმარისი. ახლა საჭიროა, რომ ძველი ჩამყაყებული კადრების ნაცვლად წინა პლანზე წამოვწიოთ ენერგიული, საქმის მცოდნე ახალგაზრდები...“**

ივნისის პლენუმზე ნათქვამი ეს ციტატები ვინმეს მოგონება კი არ გახლავთ, იგი არქივებიდანაა აღებული, კერძოდ, რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივიდან (მე-17 ფონდი, აღწერა №2, საქმე №616, 5-244 ფურცელი).

რა თქმა უნდა, პირადად მე მას არ გავცნობივარ, რადგან არ დამიშვეს. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-მუშაკმა ი.ნ. ჟუკოვმა რაიმე შეცდომა დაუშვა მისი ციტირებისას.

თუმცა, ივნისის პლენუმის მასალები საშინლადაა აბურდულ-დაბურდული. და ეს გაკეთებულია შეგნებულად.

თუ, მაგალითად, გავაჟღერებთ იმ ფაქტს, რომ სტალინი ჯერ კიდევ 1937 წელს აპირებდა ქვეყნის დემოკრატიზებას, მაშინ...

**მაშინ ეს წერტილს დაუსვამს ხრუშჩოვის ნებისმიერ ბრალდებას სტალინის მიმართ, რომ იგი იყო ტირანი, სატრაპი და დიქტატორი.**

ასევე ჰაერში დაეკიდება ბერიას მიმართ წამოწეული ყოველნაირი ბრალდება! თუ პარტოკრატების და პარტოკრატიული ისტორიკოსების ხროვა ათწლეულების განმავლობაში ლაფში თხვრიდა სტალინის სახელს, ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ როგორ სიბინძურეს ასხამდნენ ისინი ბერიას!

სხვათა შორის, პლენუმზე ცეკას შემადგენლობიდან გამოყვანილი იქნა სსრკ ჯანდაცვის სახალხო კომისარი კამინსკი — ბოლშევიკი 1913 წლიდან, 1920-1921 წლებში აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი და ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე.

ერთ-ერთი ხალტურის მოყვარული არაკეთილსინდისიერი ისტორიკოსი თევდორე ვოლკოვი თავის პასკვილანტურ ნაშრომში **„სტალინის აღმაფრენა და დაცემა“** (რომლის ერთ-ერთი რეცენზენტია ტყუილების დიდი მოტრფიალე აკადემიკოსი ა.მ. სამსონოვი და მუცლით მეზღაპრე მწერალი ოვიდიი გორჩაკოვი) აღნიშნავს, რომ **„კამინსკი დაღუპა იმან, რომ სტალინის დავალებით გამოვიდა პლენუმზე და ბერია ამხილა როგორც „ოხრანკის“ აგენტი (ახლა ოხრანკის აგენტადაც აქციეს).“**

სახალისოა, რომ რამდენიმე გვერდის შემდეგ ვოლკოვი ამტკიცებს: **„ქართველი ბოლშევიკები დიდი ხანი უმტკიცებდნენ სტალინს, რომ ბერიას ბნელი წარსული აქვს და იგი „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტია“.**

ვოლკოვის მიხედვით ასე გამოდის: ძველმა ბოლშევიკებმა უთხრეს სტალინს, სტალინმა უთხრა კამინსკის, კამინსკიმ განუცხადა ყველას და სწორედ ამას შეეწირა. თანაც, ბერია ჯერ კიდევ არ მუშაობდა მოსკოვში და არ ეკავა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი.

თუ დავუჯერებთ ბიოგრაფიული ცნობარის **„სტალინის იმპერია“** ავტორს ზალესსკის, მისი მტკიცებით ივნისის პლენუმზე ზელინსკიმ განაცხადა, რომ **„შინსახკომი აგრძელებს პატიოსანი ხალხის დაპატიმრებას“**, რაზედაც მას თითქოს სტალინმა უპასუხა: **„ისინი ხალხის მტრები არიან და არც თქვენ დგახართ მათგან ძალიან შორს“.**

ალბათ მართლაც ასე იყო, პლენუმის შედეგიდან გამომდინარე. მაგრამ 27 ივნისს თავის გამოსვლაში მოლოტოვმა დაასკვნა: ძველი ბოლშევიკების სამსახურიდან დათხოვნის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ისინი თავს ვერ ართმევდნენ დაკისრებულ მოვალეობებს.

კონკრეტულად, კამინსკიმ თავი ვერ გაართვა სამშობიარო სახლებისა და ბაგა-ბაღების მშენებლობისა და მათი სათანადოდ აღჭურვის საქმეს. მოლოტოვმა მისი საქმისადმი დამოკიდებულება ერთადერთი სიტყვით დაახასიათა: **„ბიუროკრატიული“.**

1937 წლის 25 ივნისს, პლენუმის მიმდინარეობისას კამინსკი დააპატიმრეს, 1938 წლის 8 მარტს კი დახვრეტა მიუსაჯეს.

მკითხველმა შეიძლება გაიფიქროს **„თუ მან საქმეს თავი ვერ გაართვა როგორც ჯანდაცვის სახალხო კომისარმა, ხომ არ უნდა დაეხვრიტათ ადამიანი ამისათვის?“.** მაგრამ კამინსკი გახლდათ არა მხოლოდ სახალხო კომისარი, იგი ძველი **„მებრძოლი“** იყო, რომელსაც კარგად ჰქონდა შეთვისებული იატაკქვეშეთში მუშაობის ტაქტიკა. და იგი არც ისე ხანშიშესული გახლდათ — სულ 42 წლისა იყო. გამორიცხული არ იყო, რომ უმუშევრად დარჩენილი ამ კატეგორიის ადამიანები გაერთიანდებოდნენ და ახალ ბრძოლას წამოიწყებდნენ. საბჭოთა კავშირს კი სჭირდებოდა არა ბრძოლა, არამედ ახალი სამშობიარო სახლები და ბაგა-ბაღები.

შემდეგ, კამინსკის ანტიბერიასეულ მოხსენებებს ნიკიტა ხრუშჩოვი გააჟღერებს 1953 წლის ივლისის პლენუმზე, მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, ჯერ უნდა მივიდეთ ამ 1953 წლამდე.

ჯერჯერობით კი დასასრულს უახლოვდება 1937 წლის ივნისის პლენუმი და კამათი გრძელდება. არავის შეუძლია შეეწინააღმდეგოს იაკოვლევს (იგივე სტალინს) და მოლოტოვს (აქაც იგივე სტალინს), რადგან სიმართლის წინაშე ყველა უძლურია.

ამ პლენუმით სტალინის **„ჩამოგდება“** გამორიცხულია, რადგან მას მხარს უჭერს უმეტესობა პარტიული მასისა და ქვეყნის აქტიური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ხაზს ვუსვამ — **აქტიური!** განა მდგომარეობას სწორედ ეს არ განსაზღვრავს?

არა, პარტოკრატები სტალინს ვერ დასძლევენ. და ეს ყველას გაეგება — როგორც პარტოკრატიას, ასევე სტალინსაც. ახლა ყველას ის აღარდებს, თუ ვინ დაითვლის ხმებს არჩევნების შემდეგ? სტალინი ამბობს, რომ დასავლეთში, მრავალპარტიულობის პირობებში ამგვარი პრობლემა არ დგას, და შემდეგ აგრძელებს:

— ჩვენ არა გვაქვს მრავალპარტიული სისტემა. საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, მხოლოდ ერთი პარტია გაგვაჩნია...

მე ვერ გეტყვით, მიესადაგება თუ არა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამ გამონათქვამს მუნჯი სცენა გოგოლის **„რევიზორიდან“**. ალბათ არა... მით უმეტეს, რომ სტალინმა მაშინვე განმარტა: დროებითი ღონისძიების სახით კონტროლი უნდა დაეკისროთ არა პარტიულ, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რადგან პარტიის ხელში ისედაც დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი. სტალინის რეპლიკა ბევრმა დაიხსომა...არჩევნებისადმი მზადება კი ალტერნატივობის ფონზე გაიშალა. აგვისტოს ბოლოს გამოცემულ საინფორმაციო ცნობარში ასეთი წინადადება ეწერა: **„საარჩევნო ბიულეტენში დატოვეთ იმ კანდიდატის გვარი, რომელსაც თქვენ მხარს უჭერთ. დანარჩენები ამოშალეთ“.**

მაშ რატომ მიიღო ქვეყანამ ალტერნატიული არჩევნების ნაცვლად **„ოპერაცია“** შინსახკომი?

ჩვენს მიერ უკვე არაერთგზის ნახსენები ი. ჟუკოვი, მაგალითად თვლის, რომ რეპრესიების პროვოცირება მოახდინეს პარტოკრატებმა, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ **„სტალინის ჯგუფის“** იდეების რეალიზაციისათვის. კერძოდ, ეიჰემ მოითხოვა, რომ დაეხვრიტათ მის ხელმძღვანელობაში მყოფ დასავლეთ-ციმბირში მოკალათებული დამნაშავეები და სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი...

მაგრამ მოკოველი ისტორიკოსი ი. ჟუკოვი აკვირდებოდა 70-90-იანი წლების ძირგამომპალ **„ელიტას“** და ამიტომაც აზროვნებს **„ხელისუფლებისათვის ბრძოლის“** კატეგორიებით და ა.შ. ამიტომაც ზომავს იგი სტალინს ხრუშჩოვის, ბრეჟნევისა და ანდროპოვის საზომით (გორბაჩოვი კადრს მიღმა რჩება და ხელისუფლებისათვის არ იბრძოდა, რადგან იგი ხელისუფლებაში მოიყვანეს საბჭოთა კავშირის დასანგრევად და მტრისათვის ჩასაბარებლად).

მაგრამ ჟუკოვი, რა თქმა უნდა, ცდება! არც ისე უბრალო და სუსტი პიროვნება გახლდათ ამხანაგი სტალინი, რომ ვიღაც ეიჰეს პროვოკაციებს აჰყოლოდა — გაეცა სანქცია ახალი რეპრესიებისათვის იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინა არჩევნების არასასურველი შედეგები.

ამასთან, რეპრესიები ხომ არჩევნების ჩატარების შემდეგაც არ შეწყვეტილა.

ვფიქრობ, ყველაფერი მარტივადაც იყო და რთულადაც. მაინც როგორ უნდა მოქცეულიყო სტალინი ამ კონკრეტულ სიტუაციაში?

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

*გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს* **კლიმენტი შელიას** *წიგნიდან*

პროფესორი იოსტ გიპერტი ხაზგასმით აღნიშნავს: **"არც ერთ მეცნიერს აზრადაც არ მოუვა კითხვარის მეშვეობით იკვლიოს ის, რაც დიდი ხანია, როგორც ქართველი, ისე არაქართველი სახელოვანი ლინგვისტების მიერ დასაბუთებულია, საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებულია და კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ქართველური ენებია"** (გაზ. **"ახალი თაობა"**, 2007 წლის 9 მაისი, №135, გვ.9), რომლის დასადასტურებლად ჩამოთვლის მრავალ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გვარებს. შემდეგ აგრძელებს: **"სინამდვილეს არ შეესაბამება არც ის, თითქოს "9 წელია დისკუსია" მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის შესახებ: ინტერვიუში მოხსენებული "დისკუსიის" ავტორები, მაქსიმუმ, სამი პიროვნება გახლავთ, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ცნებებს "ქართული ენა" და "ქართველური ენები" შეგნებულად აყალბებენ. ქართული ენის გვერდით მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ენად მიჩნევა სტატიაში "ცარისტულ-საბჭოურ" შეხედულებად მოიხსენიება, რითაც იგნორირებულია საუკუნოვანი სამეცნიერო მიღწევები ქართველოლოგიაში და უკიდურესად შეურაცხმყოფელია ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ქართველოლოგებისათვის. ტრადიციულ შეხედულებას რაც შეეხება, რომლის მიხედვითაც თურმე "მეგრულიც, ლაზურიცა და სვანურიც ქართული ენის განშტოებად განიხილებოდა და XX საუკუნის 30-იან წლებში აიკრძალა", ფაქტების გაყალბებაა, ვინაიდან ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის მოწამეთა ერთ-ერთ ლეგენდაში ისევე, როგორც მაგალითად არჩილის "არჩილიანის" ერთ-ერთ ლექსში, მეგრულ "ენად" მოიხსენიება".** (იქვე).

ბატონო თეიმურაზ (საუბარია ქუთაისელ პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძეზე – რედ.), ცნობილ გერმანელ პროფესორს იოსტ გიპერტს, 1996 წლიდან გელათის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის (ყოფილ) უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, სხვა შეურაცხყოფასთან ერთად, რუსეთის დაზვერვასთან შესაძლო კავშირზეც მიანიშნეთ, რის გამოც გიპერტი თბილისის უნივერსიტეტის რექტორის წინაშე აყენებს საკითხს: **"მსურს დაჟინებით გთხოვოთ, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოთ აკადემიური ეთიკის თვალსაზრისით და შეაჩეროთ საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ყოვლად უღირსი ცილისწამება თქვენი თანამშრომლის მხრიდან. ალბათ გასაგები იქნება ჩემი პოზიცია, რომ შექმნილ მდგომარეობაში, საკითხის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განხილვისა და მომხდარი ფაქტის აკადემიური ეთიკის შესაბამისობაზე მსჯელობამდე, შეუძლებლად მიმაჩნია ჩვენი უნივერსიტეტების თანამშრომლობის შესახებ საუბარი".**

გარდა ამისა, პროფესორმა ი. გიპერტმა უფლება დაიტოვა თ. გვანცელაძის ქმედებას მისცეს სამოქალაქო სამართლის შესაბამისი მსვლელობა და თავისი წერილის ასლი გადაუგზავნა სხვადასხვა ინსტანციას, მათ შორის საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

ასეთია ჟურნალისტ გულიკო ბალაძესთან პატივცემულ თეიმურაზ გვანცელაძის მხოლოდ ერთი ინტერვიუს შედეგი.

საკითხის მნიშვნელობამ განაპირობა პროფესორ ი. გიბერტის წერილიდან ვრცელი ამონარიდების გაკეთების აუცილებლობა, რადგამ პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძეს მეგრული ენა იანკოვსკის და აშორდიას შექმნილად მიაჩნია. პატ. თეიმურაზ გვანცელაძის 2007 წლის 30 აპრილის საგაზეთო ინტერვიუს პასუხი გასცეს კახა გაბუნიამ, ლალი ეზუგბაიამ და ჭაბუკი ქირიამ, რომლებიც თ. გვანცელაძეს ბრალს სდებენ სიყალბესა და სიცრუეში (**"იგი აყალბებს ფაქტებს", "ეს არის სიცრუე"**).

ბატონმა თეიმურაზ გვანცელაძემ და მისმა ორიოდე მეგობარმა, რომლებიც ასე გამწარებით ებრძვიან მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებს, არ შეიძლება არ იცოდნენ (ვიმეორებ), რომ ძველ შუმერეთში, მდინარეების იდიგნასა და ბურანუნის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხები მეგრულ-ლაზურ ენაზე მეტყველებდნენ (ბ. სოფია და სხვები); ასე იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, რომ ქიმეთში (შემდგომში – ეგვიპტე) ფარაონები იყვნენ საქართველოს (მითანის) მეფის რატის ასული თათუ (ნეფერტიტი) და რატის ძმა აიე, რომ 5 ათას წელზე დიდი ხნით ადრე შუამდინარეთში ერთიანი საქართველოს მეფემ ანმარემ დააარსა ქვეყნის დედაქალაქი კოლხა (ნ. ფოფხაძე და სხვები). 3.300 წლის წინ აიეტის ასული მედეა თავისი სახელობის სამეფო მედეა-მედეთის მეფე იყო.

სამწუხაროდ, კვლავ მიხდება აღნიშნული საკითხების განმეორება, ამიტომ პატივცემულ ოპონენტებს ვთხოვ, მასალები ინტერნეტით გამოითხოვონ, უცხოელი მეცნიერებისა და უცხოური წყაროებით მიიღებენ სარწმუნო საბუთებს, მათ შორის, მეფეთა სურათებს სამეფო გვირგვინით, კვერთხით და სათანადო წარწერებით.

ოპონენტებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ: ქართველებს 4 ათასი წლის წინათ ჰქონდათ მსოფლიოში პირველი დოკუმენტი – **ფესტოსის დისკო** – კოლხური ოქროდამწერლობა, რომელიც ასი წლის განმავლობაში ვერავინ წაიკითხა – ეს შესძლო ქართველმა მკვლევარმა გია კვაშილავამ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უძველესი დროიდან საქართველო ერთიანი ქვეყანა იყო, მეგრულ-ლაზური და სვანური ენები ქართველური ენებია, მეგრელები მეტყველებდნენ მეგრული ქართულით, სვანები – სვანური ქართულით, საქართველო მრავალი ენოვნების ერთიანობაა, მეგრული ფუძე ენაა.

ბატონო ტარიელ! ბატონო თეიმურაზ! ქალბატონო მანანა! ბატონო რეზო! ზემოთ მოტანილი და ხელახლა განმეორებული, თქვენთვის კარგად ცნობილი ფაქტები, უბრალოდ, კიდევ ერთხელ შეგახსენეთ.

ბატონო ტარიელ! ერთმა თქვენმა მეგობარმა, რომელმაც ეს ნაშრომი გამოქვეყნებამდე წაიკითხა, მითხრა: თქვენ დარწმუნებული ხართ, თ. ფუტკარაძე, ზვიად გამსახურდიას ერთგული იყო და არ უღალატნია მისთვის – ეს გარეგნულად, თეორიულად სწორია, მაგრამ ტ. ფუტკარაძე ზ. გამსახურდიასგან დიდ თანამდებობას ელოდა, მაგრამ რომ ვერ მიიღო, განაწყენდა. მას, რა თქმა უნდა, საჯაროდ არ შეუძლია ზვიადის გინება – ეს მას სახელს გაუტეხს, ამიტომ დაიწყო ბრძოლა სამეგრელოსა და მეგრელების წინააღმდეგ, რომელიც ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლადაც მიაჩნია, სვანები უბრალოდ ჩართო საქმეშიო.

რამდენად სწორია ზემოთ აღნიშნული სიტყვები, არ ვიცი, მაგრამ მთხოვა, ეს მისი ნაამბობი ამ წიგნში აუცილებლად შემეტანა – ტარიელ ფუტკარაძე მიხვდებაო, თუ ვინ გითხრა ეს ყველაფერი.

ცალკეული ქართველური ენები – კოლხური (იგივე მეგრულ-ჭანური, ლაზური), სვანური, აქამდე არავის გახსენებია, მაგრამ ქართველოლოგთა ქუთაისურმა კონფერენციამ ის საქართველოს ერთიანობისათვის რატომღაც საშიშად ჩათვალა. არგუმენტები? – რა საჭიროა, საქმისთვის ასე სჯობია!

ევროკავშირმა მიიღო კონვენცია, რომელიც უძველესი ენების დაცვა-შენარჩუნებას ეხება. ევროპის ქვეყნებში უძველესი ენების დაცვა-შენარჩუნება ერის კონსოლიდაციას ემსახურება, ხოლო საქართველოში რატომ უწყობს ხელს ერის დაშლას და სეპარატიზმს? როგორ ათავსებენ ამას ერთმანეთში? საქართველო შეუერთდა ევროკონვენციას, მაგრამ საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია ის.

როდესაც ცხადი გახდა, რომ 2003 წლის ნოემბრიდან საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უარი თქვა სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაშინ, ეტყობა, ქართველ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ბრძოლა დაიწყო სამეგრელოს, კერძოდ, მეგრული და სვანური ენების წინააღმდეგ; ცდილობენ, ამ ხალხს დაუკარგონ მთელი მათი მრავალათასწლოვანი წარსული ისტორია და არ ფიქრობენ იმაზე, რომ ამით სრულიად საქართველოს ებრძვიან და უკარგავენ მას სახელოვან წარსულს, რომლითაც მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყანა იამაყებდა. როგორც ითქვა, ამით სარგებლობს ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ხალხი და რეგიონში პირველობას ჩემულობს: ანბანი ჩვენ შეგიქმენით, საქართველოში არსებული ეკლესია-ტაძრების დიდი ნაწილი ჩვენია, ასევე, თურქების მიერ მიტაცებულ ძველ ქართულ მიწებზე არსებული ისტორიული ძეგლებიც ჩვენიაო და, როგორც ითქვა, დღეს საქართველოში ავტონომიას და სახელმწიფოებრივ ენასაც თხოულობენ. **"ვიღაცის უხილავი ხელი მართავს ამ პროცესს, ეს ხელი უნდა მოეჭრას მას"** (მაგრამ ისე კი არა, როგორც არსაკიძეს). ძალიან სამწუხაროა, რომ ეს უხილავი ხელი 2003 წლის ნოემბრიდანაც განაგრძობს ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას (ძირითადად უკვე მეცნიერებაში).

ანტიკური პერიოდის ბერძენი სწავლულების ცნობის მიხედვით, კოლხებს დამწერლობა ოდესღაც ჰქონიათ. ჰეროდოტე წერს ამაზე – როდოსელი ამბობს, რომ **"კოლხებს აქვთ მამა-პაპათაგან ნაწერი კვირბები..."**, აკაკი ურუშაძე წერს: **"იგი პირველი ცნობაა ქართველ ტომებში არსებული დამწერლობის შესახებ"**.

კარგადაა ცნობილი, რომ, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ზანურ (კოლხურ) – მეგრულ-ჭანურ-სვანურ ენებს ცალკეულ ენებად ცნობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ვ. თოფურია, ა. კიზირია, ნ. მარი, გ. ნებიერიძე, ს. ჟღენტი, ზ. სარჯველაძე, ი. ყიფშიძე, გ. ყიფშიძე, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ა. ცაგარელი, გ. წერეთელი, მ. წერეთელი, ს. ხუნდაძე, ივ. ჯავახიშვილი და სხვები, ასევე თანამედროვე: რ. გაბეჩავა, თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, ქ. მაჭავარიანი, ალ. ონიანი, ო. ქაჯაია, ზ. ჭუმბურიძე და სხვები (გვარები ჩამოთვლილია ანბანური თანმიმდევრობით). მათ შორის ზოგიერთი ისიც, რომლებიც უკვე იზიარებენ ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმის მემორანდუმს.

ვის რაში სჭირდება ამგვარი ურთიერთგამაუცხოებელი, მეტიც, ურთიერთდამთრგუნველი, ურთიერთშორის მტრობის ჩამომგდები ღონისძიების მოფიქრება და რეალიზაცია? (მ. ძაძამია). მისი მიზანი, საბოლოო ამოცანაა როგორც ცალკეული ქართველური ენების, ასევე მათი მატარებელი ხალხების გადაშენება, გაქრობა, სიკვდილი, ვინაიდან ენის სიკვდილი, როგორც წესი, იმავე ენის მატარებელი ხალხების გაქრობას ნიშნავს (ამ საკითხზე სხვაგანაც გვაქვს ლაპარაკი).

ილია ჭავჭავაძე ამბობს: **"ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"**.

კ. უშინსკი მიუთითებს: **"წაართვით ხალხს ყველაფერი და ყველაფერს დაიბრუნებს, მაგრამ თუ ენა წაართვით, მას ვერასოდეს შექმნის. მოკვდა ენა და მოკვდა ხალხი. თუ კაცს აძრწუნებს ერთი ადამიანის მოკვლა, რომელსაც უამისოდაც დიდი დღე არ უწერია, რა უნდა ვიგრძნოთ მაშინ, როდესაც ვუპირებთ მოკვლას მრავალსაუკუნოვან ისტორიულ პირს – ხალხს, ერს, ამ ღვთაებრივ ქმნილებას"**. ჯონ ფლეტჩერი კი აღნიშნავს: **"ენაშია დაუნჯებული ხალხი და მთელი სამშობლო... ვინც ენის გაუქმებას ან გათქვეფას ქადაგებს, ის კლავს ხალხს, უკეთ რომ ვთქვათ, თავს იკლავს"**.

ვიმეორებ: დოკუმენტი-მემორანდუმის მხარდამჭერები ამას **"ასაბუთებენ"** იმით, რომ მეგრულის, ლაზურის (ჭანურის) და სვანურის ცალ-ცალკე ენობრივ ერთეულებად გამოცხადება საფრთხეს უქმნის ქართველთა ერთიანობას (ვითომ აქამდე არ არსებობდა ეს ენები) და თუ მეგრელებმა და სვანებმა თავიანთ ოჯახში საკუთარ ენაზე ისაუბრეს, საქართველო დაიშლება – გენიალური მეცნიერული აღმოჩენაა!

ყოჩაღ! აქამდე ამას ვერცერთი ენათმეცნიერი ვერ მიხვდა და მიხვდნენ მხოლოდ ტარიელ ფუტკარაძე, თეიმურაზ გვანცელაძე და ძმანი მისნი. ზოგიერთს უნდა საქართველოს ისტორია, ქართული დამწერლობა V საუკუნიდან იწყებოდეს. **"შუშანიკის წამების"** ხელნაწერი X საუკუნიდან გვაქვს, თუმცა თხზულება V საუკუნის ძეგლია. იმის აღიარება, რომ ქართული დამწერლობა ამ დროიდან – V საუკუნიდან იწყება, არა მარტო უდიდესი დანაშაულია ქართველი ერის წინაშე, არამედ მსოფლიო მეცნიერების წინაშეც და საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდების მცდელობაა. ვიმეორებ, აპოლონიოს როდოსელი ამბობს, რომ კოლხეთში მცხოვრებლებს თავიანთი მამებისაგან შემონახული აქვთ კირბები (კვირბები), რომლებშიც მოგზაურთათვის ნაჩვენებია წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარი. პროფ. აკ. ურუშაძემ კირბის სემანტიკა გაარკვია და გვაჩვენა, რომ ის არის დაფაზე, ფირფიტაზე, სტელაზე შესრულებული არა მხოლოდ კარტოგრაფიული, არამედ რელიგიურ-საღვთოსამსახურო, საკანონმდებლო, მეცნიერული, მხატვრული ტექსტებიც.

ბერძენ სწავლულს ევჰემერისტ ჰალიფატეს (ძვ.წ.აღ. IV-III ს.ს.) მიხედვით **"კოლხეთში დაცული (ტყავი) ნამდვილი ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი"**. მომდევნო ეპოქების მოღვაწეების ხარაქს პერგამონელის, იოანე ანტიოქიელის, სვიდას, ევსტათი თესალონიკელის და სხვების აზრით კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ მიეღოთ ოქრო.

სტატიის **"ხნა ერის გასაგონად"** ავტორები წერენ: **"...შეურაცხმყოფელია, ასეთი დიდი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე საზოგადოებას დიალექტი გამოუცხადო ახალი სალიტერატურო ენის სათავედ და უცხოდ უქციო საკუთარ წიაღში შობილი რუსთაველი, გურამიშვილი..."** და სხვა მწერლები.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე **"დაეკითხოს"** ჰეროდოტეს, აპოლონიოს როდოსელს და ბევრ სხვა ბერძენ სწავლულებს, ვიმეორებ, აგრეთვე: გიორგი ახვლედიანს, აკაკი შანიძეს, აკაკი ურუშაძეს, თამაზ გამყრელიძეს, მსოფლიოს სხვა გამოჩენილ ენათმეცნიერებს.

მსოფლიო მეცნიერება ვერ დაუჯერებს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს, პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძეს, პროფესორ მ. ტაბიძეს, პროფესორ რ. შეროზიას და სხვებს, რომ კოლხური ენა ქართულის დიალექტია. რაც გინდ წერონ და ილაპარაკონ, ფაქტი ჯიუტი და ურყევია, ის სურვილზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ რატომ ავიწყდებათ, რომ კოლხეთი და საქართველო ერთი და იგივე საქართველოა, ქართული და კოლხური (ლაზური), სვანური ენები ქართველური ენებია. სხვა რამის მტკიცება თვითმიზანი რატომ არის? ეს ვინმეს ამაღლებს? საქართველო ისედაც მაღალია, ის მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ქვეყანაა. განა უცნობია, რომ ათასწლეულები არსებობენ ქართველური ენები: – მეგრულ-ჭანურ-ლაზური, სვანური საკუთარი დიალექტებითა (ანუ კილოებითა) და კილოკავებითურთ.

**კლიმენტი შელია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე სხვისი საბნის ქვეშ არ ვიხედები!

*ეს წერილი დიდი ხანია მივიღეთ და მისი გამოქვეყნება რამდენჯერმე გადაიდო. მიუხედავად ამისა, მას აქტუალობა არ დაუკარგავს, რადგან, ქვეყანაში პრობლემები არ ძველდება! ხშირად კი ისინი სახეშეცვლილი და შეფერადებული გვირუნდება. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის თვალით დანახული საქართველო და მისი პრობლემები საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.*

...ნეტავ, როდის ვიყავით მართლები – ამ **ათიოდე წლის წინ, როცა საქციელდაწუნებულ, ცირკის მიდამოებში სამეძავოდ გამოსულ გოგონებს ქრთამის ფასად რომ იყოლიებდნენ სასაუბროდ „რუსთავი-2“ და მისნაირი ქართული ყვითელი პრესა, რაც მაშინ სენსაციად მიიჩნეოდა!..** (და ჩვენც მზად ვიყავით მათთვის ქვები დაგვეშინა!) თუ, დღეს, როცა – **იმავე „რუთავი 2“-ს ხუთი ქართველი ქალბატონი გამოჰყავს ეკრანზე (იმ ხუთეულიდან, ჩემთვის მხოლოდ ერთია ნაცნობი – ჩემი აზრით, ძალად სკანდალური ჟურნალისტი ინგა გრიგოლია), რომლებიც ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვის უფრო მეტი ქმარი ჰყოლია!.. და ყოველივე ამას, ტელეეკრანს თვალმიციცინებული ვუყურებთ და ვითვლით, რომელი აჯობებს ამ ხუთეულიდან ქმრების რაოდენობაშიო?!.**

იქნებ ღირდეს ამ საკითხზე და სხვა რამდენიმე, უფრო მტკივნეულზე დაფიქრება, ხორცზე მეტად სულს რომ ამძიმებს?!.

ადრეც მითქვამს და ვიმეორებ – **ქვეყანას და მის მაცხოვრებელ ხალხს, რომელსაც საზოგადოებრივი და მორალური პასუხისმგებლობა არ გააჩნია, მის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე, მომავალი არა აქვს!**

...კიდევ ერთი, ძალზედ **„მნიშვნელოვანი“** პოლიტიკური და სულიერი ტრაგედიით დაასრულა 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოსწინა წელიწადი საქართველოს გამყიდველმა პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ!.. ქუთაისში, ბერძენიშვილის ქმნილება, რომელიც ევროპის (ბოდიშს ვუხდი მკითხველს, მე ამ კონტინენტს ვიცნობ საფუძვლიანად და ამიტომ ვზღუდავ მის მნიშვნელობას!) ნებისმიერ ქვეყანას დაამშვენებდა და საამაყოდ ეყოფოდა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, **„ნიკოლოზობა“** დღეს, როცა ქართველი მართლმადიდებელი მრევლი ეკლესია-მონასტრებში ლოცვას აღავლენდა, მიწასთან გასწორდა და თან გაიყოლა უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე!..

ტრაგედია ვის არ დასტეხია თავს და უბედურებით ამ ქვეყანას ვინ გააკვირვებს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ გლოვის მაგიერ, ტრაგედიის მეორე დღეს, ტელეარხ **„რუსთავი 2“**-ის და იმედის ეკრანზე გამოყვანილი ქუთაისელი ქალბატონების თავგადაკლული შემართება დაეცვათ, დამნაშავე საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა მომხდარის პასუხისმგებლობისგან, სხვა არაფერია, თუ არა – **საზოგადოაებრივი მორალის და პასუხისმგებლობის არქონა!..**

აბა როგორ უნდა ავხსნათ, რომ თითქმის არავის უხსენებია მომხდარი ტრაგედიის შემსწრეთაგან – **ვის და რატომ დასჭირდა ქალაქ ქუთაისის ერთ-ერთი დამამშვენებელი ნაგებობის მიწისაგან პირისა აღგვა?..**

გამოვუტყდეთ თავს და ხმამაღლა ვთქვათ, რომ – აქ მხოლოდ, მხდალ-ნაძირალური სინდრომი მოქმედებს – **„თუ ეს ზემოდან მოდის, დასაშვებია!..“** სამწუხაროდ იგი ყველასათვის ერთია, არა აქვს მნიშვნელობა იგი თბილისელი იქნება, ქუთაისელი, ზუგდიდელი, თელაველი თუ, ზოგადად ნებისმიერი ქართული კუთხიდან – **ყველა ერთნაირად ნამუსახდილია საზოგადოებრივი მორალის და პასუხისმგებლობის წინაშე!..**

ქართველებო! – **თუ ეს მიმართვა თქვენთვის რამეს ნიშნავს, დავფიქრდეთ, ვის ვუსმენთ და ვის მივყვებით?!.**

ქართველებო! – **დაფიქრდით, რომ თქვენი სიგლახე, თქვენი ორღობის მიღმა არ მთავრდება და იგი გაცილებით შორს ვრცელდება!.. თქვენ რომ არასოდეს გსმენიათ, ისე შორს!..**

ქუთაისლებო – თქვენი გაყუჩება და მოლოდინი **„დავიცადოთ, ვნახოთ, რას იტყვის მთავრობა“** და მხოლოდ **„ვაი-ვიში და წყევლა-კრულვა“** მომხდარის და მისი ამფეთქებლის მისამართით, სხვა არაფერია, თუ არა – **ამორალური საზოგადოების რეალური სახის გამოჩენა!..**

ისე არ გამიგოთ, მარტო ქუთაისლებს ვსაყვედურობდე და ისინი იყვნენ გამონაკლისები – არა აქვს მნიშვნელობა თბილისელიც, ბათუმელიც, ზუგდიდელიც, სოხუმელიც და ცხინვალელიც ისევე მოიმოქმედებდა, როგორც ქუთაისლები მოიქცნენ – **რა ვიცი პრეზიდენტი და მთავრობა რას ფიქრობს, რაღა მე შევასკდეო!..**

ეს არის **დღევანდელი, ქართული საზოგადოებრივი მორალი და პასუხისმგებლობა,** რომელსაც მომავალში კიდევ უფრო საშინელი, ამაზრზენი და გადამშენებელი სნეულებები მოჰყვება, რომელსაც საბოლოოდ გადაჰყვება ჩვენი ჯიში და ჯილაგი, დროზე თუ არ გამოვფხიზლდით!..

**–ქვეყანა რომ უჩვენოდაც გადაშენების გზას გაუყენეს არახალია, მაგრამ იმდენი მაინც შევიძლოთ – ამ პროცესს ხელი მაინც არ უნდა შევუწყოთ!**

ამ თემაზე მე ადრეც მითქვამს ორიოდ მოკრძალებული სიტყვა და გადაწყვეტილი მქონდა მომავალში არ მივბრუნებოდი მას, მაგრამ ისევ **„რუსთავი-2“-მა და მისმა სტუმრებმა** მაიძულეს ხელი ამეღო ჩემს განზრახვაზე, ახალი წლის წინა დღეებში, რუსეთში სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მიწვეულ ქართველ ჟურნალისტებს რომ ლანძღავდნენ საგულდაგულოდ!..

არა მგონია, ეს, ახალი ამბავი იყოს ვინმესთვის. იგი არც ჩემთვის ყოფილა გასაკვირი, მაგრამ ქალბატონ ნინო შუბლაძის მოწვეულ სტუმრებში ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორად ნახსენები (თვითონ განაცხადა!) ქალბატონი ლალი მოროშკინა მეცნო, რომელიც რამდენიმე თვის წინ სხვა ოთხ (თურმე ძალიან ცნობილ!) **„ჯერ კიდევ საკმარისზე მეტი ქალური რესურსის მქონე“** მიმზიდველ ქალბატონთან ერთად გამოდიოდა, სწორედ ზემოთნახსენებ **„რუსთავი-2“**-ის ეკრანზე და ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს შეჯიბრში – ვის რამდენი და მეტი ქმარი ყავდა აქამდე!..

თუ დამიჯერებთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო (დიდ ბოდიშს მოვიხდი იმ ნაწილის წინაშე, რომელიც **„რუსთავი-2“**-ის აღვირახსნილობის პროპაგანდის წინააღმდეგია!) საზიზღრობაა თქვენი დღევანდელი **„გაქანება“** ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს განვითარებული ცივილიზაციისაკენ!

არაა ეს ასე, თქვენ რომ დაგაჯერეს!.. **არსად, დედამიწის ზურგზე – მეძავობა, გაუკუღმართებული სექსუალური მიდრეკილებები საამაყოდ არ ითვლება და მას სახელმწიფო არ ახალისებს, საქართველოს გარდა!**

...ჩემდა სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მიწევს ჩემი და ჩემისთანების უცხოეთში ყოფნის მიზეზის გახსენება: იგი არ ყოფილა უკეთესი, უზრუნველი ცხოვრების ძიებით გამოწვეული (თუმცა უნდა ვთქვა – დიდი უმრავლესობა ქართველთა და არაქართველთა, სწორედ ამის გამო გამოიქცა საქართველოდან და ტანჯულის მანტია მოისხა უცხოეთში... **მათ სინდისზე იყოს ის ყველა დაუმსახურებელი სიბინძურე, რაც ჩვენი სამშობლოს მისამართით უვრცელებიათ, ოღონდ დამკვიდრებულიყვნენ იქ, სადაც მათ არ ეკუთვნოდათ!)**, ჩვენ საკუთარი სამშობლოდან სიკვდილს გამოვექეცით, რომელიც **შევარდნაძის, ქართველთა გადაშენების გეგმის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა!** ამიტომ (და არა მარტო ამიტომ!) ჩვენთვის მიუღებელია ის **„ჭირთათმენა“**, როგორც ამას მიხატავენ (სხვა რა უნდა ქნას მეძავობის გარდაო?!.) და მარწმუნებენ სხვაგან უარესი ხდებაო!..

**– მე სხვისი საბნის ქვეშ არ ვიხედები, ჩემის სისუფთავე მაინტერესებს მხოლოდ!** გამომდინარე აქედან, გაოგნებული დავრჩი, როცა ამ შემოდგომაზე აფრიკაში (ძირითადად ნიგერიაში) მომიწია ყოფნა. თავიდანვე უნდა აღვნიშნო – იქ არავის არაფერი უკვირს, ყველა აკეთებს იმას, რისი საშუალებაც გააჩნია, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით **– იმას არ იჩემებს, რაც თვითონ არ არის!..**

ბოდიშს მოგიხდით, ცოტა გადავუხვიე, ვატყობ კალამი გამექცა, აქ დავსვათ წერტილი და ისევ დავბრუნდეთ ნიგერიაში!

შვეიცარია რომ ევროპის **„ბრილიანტია“** ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ამ **„ბრილიანტის“** გულისგულში, კიდევ უფრო კაშკაშა ბრილიანტი **„ლიხტენშტეინი“** რომ დევს, არც ამას სჭირდება ჩემი საგანგებო **„გახმოვანება“** (ხედავთ?.. – ვერც მე გავექეცი ამ მახინჯ, მაგრამ ქართულ მედიაში დამკვიდრებულ გამოთქმას **„გახმოვანება!“**), მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა აღვნიშნო – ევროპის შუაგულის (და არა მარტო შვეიცარიის!) სამოთხის სადარ, პაწაწკინტელა სახელმწიფოს ერთადერთი ზანგი მოქალაქე ჰყავს – სახელად მანდეი ჰქვია მას და ჩემი მეგობარია!.. სწორედ მისი დახმარებით მოვიარე აფრიკის ეს ულამაზესი კონტინენტი და მისი ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო ნიგერია.

მოსაყოლის მეტი რა მაქვს, მაგრამ ყველაფრის მწვერვალი იყო ლიხტენშტეინში დაბრუნებულს მანდეი რომ მეკითხება:

**– დავით, რას ფიქრობ, რა განსხვავებაა ქართველებსა და ნიგერიელებს შორის?**

თითქოს მარტივი კითხვაა, მაგრამ მაინც გამიჭირდა – რა არ გავიფიქრე, ყველაზე მძიმედ კი მეგობრის წყენინება მომეჩვენა, ჩემი მომავალი პასუხით!..

თითქოს ყველაფერი ეს, უსიტყვოდ ამოიკითხა ჩემში და მანდეიმ თვითონვე მომიგო:

**– ჩემო ძვირფასო მეგობარო, ტვინს ნუ იჭყლეტ – განსხვავება ფერშია მხოლოდ, ქართველებსა და ნიგერიელებს შორის!**

...იქნებ ამიტომაც არიან ისინი დაუნდობელნი თავიანთი გაჭირვებული მეზობლების მიმართ – როგორც ნიგერიელს, ისევე ქართველს არ შერცხვება სამშობლოსთვის მოპარული ფულით, ან სულაც უფულოდ (იარაღის ძალით ნაშოვნი!), საგანგებოდ ძვირადღირებული მანქანებით თვალწინ უტრიალონ სტუმრებს და ამ დროს მეზობელს შიმშილით უკვდებოდეს შვილები ან კიდევ... რა მნიშვნელობა აქვს კიდე რა?!.

– კიდე ერთი განსხვავებაა, აგრძელებს მანდეი, – **ხალხი ჩვენთან გაცილებით კანონმორჩილია (კრიმინალებს არ ვგულისხმობ!), ვიდრე თქვენთან საქართველოში!.. მე იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ათიოდე წლის წინ გაეროს მისიით მიპირებდნენ საქართველოში გაგზავნას და ერთი წელი თქვენს უძველეს და აქტუალურ ისტორიას ვსწავლობდი. ბევრი რამ კიდევ, თქვენს ქვეყანაში ნამყოფი ჩემი კოლეგებისგან მოვისმინე და ამიტომ ვაკეთებ შენთან ასეთ თამამ დასკვნებს!.. პრესის წინაშე ამას არ ვიტყოდი!.. უეცრად გაჩუმდა და მეკითხება – დავით, მგონი შენ არ მისმენ!..**

– არა, როგორ არ გისმენ!.. უბრალოდ დავფიქრდი, – და ბოდიში მოვუხადე, მოვიტყუე!..

სინამდვილეში მანდეის მონაყოლმა ჩემი ერთი გერმანელი მეგობარი გამახსენა, საქართველოში ხანგრძლივი მისიის შემდეგ, როგორი აღფრთოვანებული ყვებოდა ჩვენი ძველი ისტორიის შესახებ (აქვე მინდა მკითხველი გავაფრთხილო: ნუ იფიქრებთ ყველა ჩამომსვლელი ჩვენი ისტორიის სიძველეზე ჭკუას კარგავდეს. იშვიათად ჩამოდიან ასეთები, ვისთვისაც ისტორია ჰობი, ან პროფესიაა!) და როგორი გულდაწყვეტილი იყო დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის საქციელით:

**– თუ შენს სიახლოვეს ძვირადღირებული მანქანა მოძრაობს, განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებს, რადგან მას ათიდან ცხრა შემთხვევაში კანონდაუმორჩილებელი, ახალგამდიდრებული ქართველი, პარლამენტარი, მაღალი თანამდებობის „სამართალდამცველი“ ან ჩინოვნიკი მართავს, რომელთათვის სახელმწიფო კანონები მხოლოდ ქაღალდზე არსებული ნორმატიული აქტებია!**

ცხადია, ამას მანდეის ვერ მოვუყვებოდი და ამიტომაც მოვიტყუე!..

ეტყობა მანდეიმ იგრძნო ჩემი უხერხულობა და თვითონვე სცადა სიტუაციის განმუხტვა. და კარგადაც გამოუვიდა – **დავით, შენ კარგად იცი, ჩვენთან მრავალსეზონური ტანსაცმელი საჭირო არ არის, მაგრამ ყველა გლეხს ერთი „საგარეო“ ფეხსაცმელი მაინც აქვს ქალაქში წასასვლელად!..**

– მარტო ფეხსაცმელი? –კითხვა მივაგებე...

**– დიახ, ძირითადში მარტო ფეხსაცმელი!., მაგრამ, შენ ხომ არ გგონია ფეხსაცმელს იმიტომ იცვამენ ვიღაცას თავი მოაწონონ?!. (თუმცა ასეთებიც მომრავლდნენ ამ ბოლო დროს... ცხოვრებას მოაქვს!) ასფალტია ქალაქში ცხელი და იმიტომ არის საგანგებო ფეხსაცმელი აუცილებელი!.. თქვენთან კი, ქალები და კაცები მოდელებივით გამოწყობილები დადიან ქალაქში!..**

თითქოს ნაღველი დაეტყო მანდეის ბოლო სიტყვებს... მთლად მასე არ არის ჩემო მანდეი – **კარგა ხანია ჩვენთანაც გამოჩნდნენ დაგვაჯულ და დაფხრეწილ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდობა!.. ამერიკული ცივილიზაცია ჩვენთან სწრაფად შემოდის!..**

თავის მოსაწონებლად რომ არ მითქვამს უკანასკნელი ფრაზა, მანდეი უჩემოდაც მიხვდა და განაგრძო:

**– ეგ საქმე არ არის დიდად სასიხარულო!.. ბოლო 20 წლის მანძილზე, სადაც კი მომიწია გაეროს მისიით ყოფნა, ყველგან ამერიკული სიბინძურეები დაგვხვდა – ადრე, მათივე აღზევებული კრიმინალების გასანეიტრალებლად გვიწევდა ყველგან იარაღის და საფრთხის ქვეშ მუშაობა... ბენ ლადენი ხომ გახსოვს?.. ვინ აღზარდა და შექმნა იგი?!. ეს საშიშროება თქვენც მოგელით, მითუმეტეს თქვენი ხალხი განსაკუთრებით ნიჭიერია და ასეთი ხალხის ხელში დაუმსახურებლად მოხვედრილი დიდი ფული და იარაღი განსაკუთრებით საშიშია!..**

**უფრთხილდით ამერიკულ ექსპანსიას, დღეს რომ საზეიმოდ მიგაჩნიათ, იგი მომავალში სისხლით და სიცოცხლის ფასად საზღვევი არ გაგიხდეთ!..**

მანდეის საუბარმა ისევ ფიქრებში გადამისროლა. გასულ ზაფხულს, ომის დაწყების წინ, გელათში, სრულიად შემთხვევით, დიდი ხნის უნახავ, ჩემს უფროს მეგობარ და მასწავლებელ ექსკურსიამძღოლს შევხვდი. გავიხსენეთ ის დრო, როცა მეც, იმჟამად სტუდენტი, შაბათ-კვირას ტურისტებს დავყვებოდი მეგზურად და ხშირად ჩემთვის საექსკურსიო კონსპექტები მოუცია... ჩემი მოულოდნელი ნახვით და გერმანიაში ცხოვრებით გახარებული მოხუცი, კინაღამ დასაბმელი გახდა:

**–კარგი დრო იყო კარგი, ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, დიდი და პატარა ერთი კაცის გარშემო, ერთი დიადი მიზნისკენ ისწრაფვოდა. მივაღწიეთ კიდეც, მაგრამ ყველას დაგვავიწყდა, რომ დამოუკიდებლობა თავისუფლების გარეშე ისეთივე „ფრინველია“, როგორიც სირაქლემაა ჩემო დავით!.. გონს რომ მოვეგეთ, ის კაცი კი მოგვიკლეს, ვისაც ამ გზაზე მივყავდით და დავრჩით ასე – უპატრონოდ, უსამშობლოდ, უიდეოდ, უმიზნოდ და ვინ მოთვლის – რამდენი „უ“-ა კიდევ სათქმელი!..**

**ეს კიდევ არაფერი, ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ საქართველოში დიდი ფული იმ ადამიანებმა მოიხვეჭეს, რომლებსაც არასოდეს წიგნთან ურთიერთობა არ ჰქონიათ!.. სამშობლო, ეროვნული, ტრადიციული, რელიგიური მცნებები მათს გენეტიკაში არასოდეს დებულა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ეს ადამიანებია, რომლებმაც, ყოველივე ზემოთხსენებული ღირებულებების გაყიდვით მოიხვეჭეს უზარმაზარი სიმდიდრე!..**

**ამ საკითხს არავინ უფიქრდება, არცერთ ოპოზიციონერს არ დაცდენია სიტყვა ამ – ჩემის აზრით დაუძლეველ გასაჭირზე და იცი რატომ ჩემო დავით?.. ნუ მათქმევინებ თუ კაცი ხარ, შენ თვითონაც კარგად იცი, ხელისუფლებაში რომ მოვლენ ისინიც წინამორბედთა გზას გააგრძელებენ!..**

თავზარდამცემი იყო ჩემთვის დიდი ხნის უნახავი, ოთხმოცდაათს მიტანებული უფროსი მეგობრის **მძიმე „აღსარება“**... თბილისში დავპატიჟე, შეხვედრაც დავთქვით, მაგრამ აგვისტოს ომმა მომისწრო მაშინ და დროზე ადრე მომიწია საქართველოდან წასვლა.

ამ ფიქრებში ვიყავი ჩაძირული და ვერც კი გავიგე, როდის შეწყვიტა მანდეიმ საუბარი. სააქაოს ისევ ჩემმა შავმა მეგობარმა მომაბრუნა. მხოლოდ მაშინ შევნიშნე როგორი გაკვირვებული მიყურებდა.

**– ყავა ხომ არ დაგველიაო!** – შემეკითხა. მაშინვე დავეთანხმე.

იმ დღეს მეტი არ გვისაუბრია ამ თემაზე. მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს ვადუცში. გამარჯობისთანავე გახუმრება სცადა და ჩვენი ბოლო საუბარი შემახსენა **– ხომ არ დაგავიწყდა დავით, ჩვენს შორის რომ მხოლოდ ფერშია განსხვავება?!. ამიტომაც გვექცევიან ერთნაირად, საქართველოსა და ნიგერიაში, ვითომ ჩვენი, ფულიანი, ოკეანისგაღმელი კეთილისმსურველები.**

**– კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ჩემი ფერის (მანდეი, მართლაც „გულმოდგინედ გაფერადებული“ შავია!) ხალხს ვინმესთვის სამშობლო წაერთვას!.. თუ კი სადმე გავმრავლდით, ჩვენგან დაუკითხავად ჩავყავდით ყველგან, ისიც იმიტომ, რომ მათ იქ ვჭირდებოდით!..**

– კინაღამ გულზე შემომეყარა! მანდეი მართლა ძალიან მიყვარს, მაგრამ მის სამშობლო ნიგერიაში, ლიხტენშტეინში და თუ მაინც და მაინც საქართველოში – მაშინ მხოლოდ და მხოლოდ სტუმრად!

– დასწყევლოს ღმერთმა! უცებ, თვალწინ წარმომიდგა ახალგაზრდობისგან დაცლილი ჩემი სამშობლო – სახურავჩანგრეული და კიბეებზე ბალახამოსული სახლებით, რომელიც რამდენიმე წელიწადში შესაძლოა მანდეის ჯიშის და ფერის ხალხის მოსავლელი გახდეს...

ეტყობა სახეზე ფერი წამსვლოდა და მანდეი შეწუხებული შემეკითხა – **ცუდად ხომ არ ხარ, რა გჭირს დავით?**

მე არაფერი ჩემო მეგობარო – **ჩემს სამშობლოს ჭირს უკურნებელი ჭირი, რომელსაც მე ვერაფერს ვშველი!..**

**დავით შოთაძე,**
კობლენცი, გერმანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგონი ქართველებიც იღვიძებენ

მგონი მართლაც გვეშველა, რადგან, როგორც იქნა, ქართველები მიხვდნენ ვის ხელშიც ვიმყოფებით და ნელ-ნელა გამოდიან ლეტარგიული ძილის მდგომარეობიდან.

ამ ოპტიმისტური დასკვნის საშუალებას ის იძლევა, რომ ნაციონალთა მთავარ იდეოლოგიურ საყრდენად ქცეული დეპუტატებიც კი მიხვდნენ, თუ საით მიაქანებს საქართველოს სომეხი სააკაშვილი და მისი სომხური გარემოცვა და თანდათან იღვიძებს მათში ეროვნული სულისკვეთება.

მართლაც მისასალმებელია, რადგან **"სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს"!**

გვიან კი არასოდეს იქნება, თუ დროზე შევასხეპავთ სპრუტს საქართველოსათვის დასაღრჩობად შემოჭერილ საცეცებს და ისტორიის სანაგვეზე მოვისვრით იმ უჯიშოებს, ვინც ლამისაა მოსახლეობისა და სისხლისაგან დაცალონ საქართველო და სომეხთა და სხვა უგვანოთა საჯირითოდ აქციონ იგი.

ჩემი თაობა გაიხსენებს, თუ როგორ საოცნებოდ გვქონდა გადაქცეული ყოველივე ამერიკული, მაგრამ დღეს ქართველები მხოლოდ ზიზღს გრძნობენ ამერიკელთა მიმართ, რადგან მათ თავზე დაგვასვეს **"უცხო თესლთაგანი"** და ლამის თვალის სასეიროდ აქვთ ქცეული საქართველოში მიმდინარე ტრაგიკული პროცესები.

არა და, რა სახეირო და ჩვენი ერისათვის მომგებიანი რამ უნდა შეეთავაზებინა ჩვენთვის ამერიკელ ერს, რომელიც რამდენიმე ასეული წლის წინათ ჩამოყალიბდა ევროპიდან გაქცეული ავანტიურისტი მამაკაცებისა და კახპა დედაკაცებისაგან. რაოდენ მდიდარიც არ უნდა იყოს ქვეყანა, მისი ხალხის ცხოვრების წესით მაინც თავის წინაპარს ემსგავსება და ამას ატავიზმი (წინაპართათვის დამახასიათებელი ნიშნის გამოვლენა) ეწოდება. ამიტომაც, მიუხედავად ვეებერთელა მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობებისა, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება მაინც ვერ გასცდა კორუფციას, პროსტიტუციას, ჰომოსექსუალიზმსა და ათასნაირ სისაძაგლეს. ხოლო მსოფლიოს თვალში თავიანთი ეს სიმახინჯე რომ განაქარვონ, მთელი ძალით ახდენენ ათასგვარი უბედურობების კულტივირებას საქართველოსავით დამონებულ-დაჩაჩანაკებულ ქვეყნებში.

შედარებისათვის მოვიყვანთ ასეთ ფაქტს – როცა **"გეორგიევსკის ტრაქტატის"** ძალით რუსები საქართველოში შემოვიდნენ, ჩვენ ქვეყანაში მაშინ ფეოდალური ურთიერთობები საბოლოოდ არც კი იყო ჩამოყალიბებული და ამდენად, საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ნიშნული 200 წლით მაინც ჩამორჩებოდა რუსებისას. ამის შემდეგ, ერთიანი 200-წლიანი თანაცხოვრების მანძილზე, შეიძლება ითქვას, ერთ სულ მოსახლეზე განათლებისა და კულტურის დონით საქართველომ ბევრად გაუსწრო რუსეთს და მსოფლიოს მრავალ მაღალგანვითარებულ ქვეყანას, რაშიც, უდიდესი როლი, რუსეთის ინსტიტუტებმა და საგანმანათლებლო ცენტრებმა ითამაშეს. დღეს კი, იგივე მაჩვენებლით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ 50 წლით მაინც ჩამოვრჩებით რუსებს და სწორედ ეს რეგრესი გახლავთ ამერიკელთა დიდი დამსახურება ქართველი ერის მიმართ, რომელთაც ერთ დროს მთელ საბჭოთა კავშირის ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრად აღიარებული საქართველო, დღეს, უცხოელი ტურისტების მოსამსახურე დიდ **"სახარჩოედ"** გადააქციეს.

რაოდენ პოლიტიკურად ანგაჟირებულიც არ უნდა იყოს ქართველი ადამიანი, იგი სულის სიღრმეში მაინც ქართველად რჩება და კორპორატიული თუ პირად პოლიტიკურ-ეკონომიკურ საქმეს შეიძლება მხოლოდ მცირე ხნით ანაცვალოს ეროვნულ ინტერესი. ეს კი ქართველი ადამიანისათვის დამახასიათებელი ატავიზმია, რადგან წინაპართაგან დატოვებული ერისა და ქვეყნის სიყვარული ქართველს არა მხოლოდ გულში უძევს, არამედ სისხლსა და ძვალ-ხორცშიც აქვს გამჯდარი. ამიტომ, გამახარა იმ წერილმა, რომელიც თურმე ქართველ ნაცმოელ პარლამენტრთა ჯგუფს შეუმუშავებია.

ვიდრე ამ წერილზე მოგახსენებდეთ, ორიოდ სიტყვა უნდა მოგახსენოთ საქართველოს ხელისუფლებაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებზე, რაც შეიძლება სულ მალე იქცეს სერიოზული განხეთქილების საგნად. ხელისუფლებაში ხომ კარგად იციან, რა ხდება საგარეო ფრონტზე, ან რა შეიძლება მოხდეს. ხალხში სერიოზულად ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურად გაკოტრებული უმაღლესი ხელისუფალი ნარკოტიკებს ეძალება და ერთადერთ გამოსავლად კვლავ რუსეთთან ომის წამოწყება მიაჩნია, რათა დევნილის სტატუსით გაიქცეს საქართველოდან, სადაც მას უკვე ლამის აღარ დაედგომება. მაგრამ ჩვენს ასევე ერთადერთ იმედად რჩება ისიც, რომ არც რუსები და არც ვანო მერაბიშვილი აღარ წამოეგებიან სააკაშვილის ხელით ნასროლ სომხურ ანკესს და კიდევ ერთ დამღუპველ ომს არ წამოიწყებენ რუსების წინააღმდეგ, რაც განადგურებას უქადის საქართველოს და ქართველ ერს. სწორედ ეს გახლავთ სააკაშვილისათვის პოლიტიკური კრახი, რასაც, უეჭველია მისი ხელისუფლების კრახი მოჰყვება. თავიდან ისიც გავიფიქრეთ, რომ ზოგიერთ ნაცმოელთა ანტისომხური განცხადებების გაკეთება ხომ არ იყო ჩასაძირად განწირული გემიდან ვირთხების გაქცევა, მაგრამ, ოღონდ საქართველოს რამე ეშველოს მისი სომხური ხელისუფლების გადაშენებით და იმ ვირთხებსაც კი ჩავიხუტებთ და მოვეფერებით. მათ საქციელში გასაკვირი არაფერია, რადგან პოლიტიკა კონიუნქტურაა, პატრიოტიზმი კი სულიერება. არ შეიძლება, რომ შესანიშნავი ქართველი პოეტის შვილი თავისი ქვეყნის პატრიოტი არ იყოს, არ შეიძლება, რომ შესანიშნავი ქართველი მოქანდაკის შვილი თავისი ქვეყნის პატრიოტი არ იყოს. მათ ვინაობას აღარ დავაკონკრეტებ, რათა მზაკვრობითა და დაუნდობლობით გამორჩეულმა უმაღლესმა ხელისუფალმა პრობლემები არ შეუქმნას...

ახლა, რაც შეეხება წერილს, რომელიც, სავარაუდოდ, პარლამენტის კედლებშია შექმნილი და რომლის ავტორად ვინმე ქალბატონი **მანანა ნოზაძეა** მითითებული. გთავაზობთ ნაწყვეტებს წერილიდან:

"ილიას "ქვათა ღაღადზე" უკეთესად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ წლების წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეაქციულ სომეხთა ნაწილი "ჩაკრულოსა" და ასლან ერისთავის მიერ შესრულებულ "მრავალჟამიერს" გვეცილებოდა...

ანსამბლ "ერისიონის" სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი ამას იმით ხსნის, რომ ქართული ხალხური სიმღერა "ჩაკრულო" კოსმოსში წავიდა, მთელმა მსოფლიომ გაიცნო „ერისიონის" ეს ცნობილი ჩანაწერი, ხოლო "მრავალჟამიერი" ყველასათვის მისაღები და საყვარელი სიმღერაა. ქართულ და სომხურ მელოდიებს შორის არანაირი მსგავსება არ არსებობს. ქართულ სიმღერებში ისეთი სულია, რა გვაქვს ვინმესთან საერთო?.. (ამის თაობაზე ჩვენ ჯერ კიდევ 2007 წელს დავწერეთ ჩვენს წიგნში "ჭეშმარიტება და "სომხური" სიმართლე", რომელიც საქართველოს საპატრიარქოსაც გავუგზავნეთ, მაგრამ არსაიდან არავინ შემოგვხმაურებია – როლანდ ჯალაღანია)...

...ჯემალ ჭკუასელი სხვა შემთხვევასაც იხსენებს: "შეიძლება არ იცოდეთ, მაგრამ მსგავსი პრეცენდენტი ადრეც მოხდა. 1989 წელს სან-ფრანცისკოში შეწუხებულმა ქართველებმა ფირფიტა მომიტანეს. ისინი აღშფოთებას ვერ მალავდნენ, დაგვღუპეს სომხებმაო. ფირფიტაში 15-20 სიმღერა იყო შეტანილი, მათ შორის "ჩაკრულო", ხოლო სომხებს ფირფიტაზე წაეწერათ "სომხური სიმღერები"...

...ფირფიტა საქართველოში ჩამოვიტანე. ცეკაში ერთ დიდ კაცს მივუტანე... ვუთხარი, ვიღუპებით, ნახეთ რა არის-თქო. გადაირია, ეს რა ვნახე, უყურე, მაგათ რას ვუზამო... მაგრამ თავი არ შეუწუხებია. შევეხმიანე, რატომღაც არ მოისურვა ჩემთან დალაპარაკება. მაინც არ მოვეშვი, შედეგად ის მივიღე, რომ ფირფიტა დამიკარგეს იმ მოტივით, სომხებს არ ვაწყენინოთო. უკვე ეჭვიც შემეპარა იმ კაცის ქართველობაში. დღეს გამოჩნდნენ არაქართველები, რომლებიც იჩემებენ ქართველობას. სახის ფერით, თვალებით, ბუნებით, ხასიათით ქართველი არაა და იჩემებს, ქართველი ვარო. ასეთები აბაზად გაყიდიან საკუთარ ქვეყანას...

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არმენოლოგი ალექსანდრე აბდალაძე:

– ისტორიულ წიაღსვლას თუ მივყვებით, დარწმუნდებით, რომ სომხეთი უძველესი დროიდანვე ცდილობდა, კავკასიაში, დიდ სახელმწიფოდ გადაქცევას. ამიტომაც არსებობს გამოთქმა "დიდი სომხეთი". მათი მესვეურები, მეფეები, მოგვიანებით კი საეკლესიო პირები ცდილობდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობას და გასომხებას. ასეთივე გეგმა ჰქონდათ ტაო-კლარჯეთთან მიმართებაში. ისტორიულად ტაო-კლარჯეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული აჭარაც...

...რა თქმა უნდა, ქართველები გულხელდაკრეფილები სულაც არ იყვნენ, ისინი ებრძოდნენ და იგერიებდნენ დიდ დამპყრობლებს, და ცხადია, სომხების შემოტევასაც წინ არაერთხელ აღუდგნენ...

...სომხური სახელმწიფო მე-11 საუკუნიდან აღარ არსებობდა, ისინი სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ. ამ დროს კი რუსეთმა მკვდრეთით აღადგინა სომხეთი, ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან (ირანიდან, თურქეთიდან და სხვა) დააბრუნა...

...როცა რუსეთი შემოვიდა ამიერკავკასიაში, მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის, სომხეთში თითქმის არ იყო ადგილობრივი მოსახლეობა, მთელ სომხეთში ცხოვრობდა მხოლოდ 25.000 ადამიანი, რაც ძალიან ცოტაა. ამდენი ადამიანი შეიძლება ერთ დაბაში ცხოვრობდეს. სომხებს ჰქონდათ გეგმა, რუსეთის დახმარებით აღმსდგარიყვნენ...

...სომხური წრეები, მათი ბურჟუაზია საქართველოში გაძლიერდა. ძველი გეგმაც გაიხსენეს და საქართველოს დაპყრობა-გასომხება განიზრახეს.... სომხური ბურჟუაზია გამდიდრდა, მთელი საქართველოს ყიდვა მოინდომა, განსაკუთრებით აჭარით დაინტერესდა. 1918 წელს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. სომხეთში, ჩვენგან განსხვავებით, ეროვნული ხელისუფლება მოვიდა. მათ დიდი სომხეთის შექმნა, პირველ რიგში, საქართველოს ხარჯზე მოინდომეს. ამ მიზნით ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აუცილებელია ზღვაზე გასასვლელის მოპოვება, რაც სომხებმა ბათუმში განიზრახეს (ახლა მაინც თუ ხვდები, მკითხველო, თუ რატომ იბრძვის ასეთი მონდომებით სააკაშვილი, რათა თანამემამულე სომხებს გასასვლელი მისცეს შავ ზღვაზე გოდერძის უღელტეხილის გავლით და რატომ ყიდულობენ სომხები ასე ინტენსიურად სახლებსა და მიწებს აჭარაში? – "ილორის" რედაქცია). მათ ლაზეთზეც აქვთ პრეტენზია, რომელიც ამჟამად თურქეთშია...

ცივილიზებულ სახელმწიფოსთან როცა გაქვს საქმე, დასაშვებია, ზღვაზე გასასვლელი მეზობელს იჯარით მისცე. ამ დროს კი ქართული ეროვნული წრეები საფუძვლიანად ფიქრობდნენ, რომ სომხეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება ძნელი საქმე იყო, რადგან ისინი აჭარისა და ბათუმის დაპყრობას მოინდომებდნენ... 1918 წელს სომხეთის დაშნაკურმა ხელისუფლებამ ჯარი შემოუსია საქართველოს, თანაც ომის გამოუცხადებლად. აქ მათ ორმაგი ვერაგობა ჩაიდინეს: პირველი, ეს არის ომი იმ საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მფარველობდა სომხებს და იხიზნავდა საქართველოში. და მეორე ვერაგობა – ომის გამოუცხადებლად სომხების შემოჭრა...

...1918 წელს, როცა სომხეთმა ომი გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ, ნახევარი საქართველოს, კერძოდ, აჭარისა და ბათუმის მიტაცებას ისახავდა მიზნად (ახლა კი, როგორც ხედავთ, სომხები, უომრად, სააკაშვილის დახმარებით ეუფლებიან აჭარასა და ბათუმს – "ილორი"). თბილისის, გორის, ახალქალაქის, ახალციხის დაპყრობასაც გეგმავდნენ. იმ პერიოდში სომხეთის რუქები გამოიცემოდა, სადაც დაახლოებით ნახევარი საქართველო, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ტერიტორიები სომხეთისათვის იყო მიკუთვნებული.

ასეთია ისტორია, ასეთ ვითარებაში ქართველები ვერ ენდობოდნენ სომხებს. იმ დროს ქართველებმა მოახერხეს, სომხებისათვის არ დაეთმოთ ზღვაზე გასასვლელი. სამწუხაროდ (როგორც უკვე გითხარით), დღეს შედარებით იოლად ახერხებენ სომხური წრეები, მოიპოვონ გავლენა აჭარაში, ბათუმში. იტალიელი თუ რამეს შეიძენს საქართველოში, ეს იმდენად საშიში არაა, როგორც სომხების შენაძენი. ისინი ხომ თბილისში ეკლესიებსაც გვედავებიან...

90-იან წლებში (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავადსახსენებლებმა ედუარდ შევარდნაძემ და "მხედრიონმა" სასიკვდილო კალო დაატრიალეს სამეგრელოს ქალაქებსა და სოფლებში – "ილორი") სომხების რეაქციულმა ნაწილმა გამოაქვეყნა ასეთი წერილი: "ქართველი ერი დღეს არ არსებობს, ეს ცალკეულ კუთხეთა კონგლომერატია. ამიტომაც შეგვიძლია მათი დამარცხება და ჯავახეთის სომხეთთან შეერთება". მათი აზრით ქართველებში სათანადო დონეზე არ იყო ეროვნული შეგნება (ეს კი მართალია, რადგან ჩვენ რომ ეროვნული შეგნება გვქონოდა სომეხ სააკაშვილს საქართველოს სათავეში არ დავსვამდით- "ილორი")...

...მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ სომხები შედარებით გვიან არიან მოსულები ამიერკავკასიაში. არსებობს მონაცემი, რომ დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე სხვა ტომები ცხოვრობდნენ. შესაძლოა ვიფიქროთ, საუბარია ქართველურ ტომებზე, რომლებიც ოდესღაც არარატის მიდამოებში ბინადრობდნენ. თუმცა სომხებმა მოახერხეს ზოგიერთი ქართული ტომის განდევნა არარატიდან, ან გასომხება...

...მთელი მე-19 საუკუნის, ასევე მე-20 საუკუნის დასაწყისში სომხები აცხადებდნენ, რომ თბილისი სომხური ქალაქია. დღესაც გვსმენია მათი რადიკალებისაგან ასეთი სიცრუე. ცხადია, ესეც ზღაპარია. თბილისი არასოდეს ყოფილა სომხური ქალაქი. უბრალოდ, სომხებმა თავიანთი სამშობლო მიატოვეს. ისინი იყვნენ ხიზნები, რადგან მათი სახელმწიფო მე-11 საუკუნეში დაეცა, გარკვეულ მიზეზთა გამო ქართველები მათ იფარავდნენ"...

გაიხსენეთ დიდი რუსი მწერლის კრილოვის იგავის: **"Свинья, под дубом, вековым..."** **"გმირი"** ღორი, რომელიც იმ მუხის ფესვების ჩიჩქნას შეუდგება, რისი წყალობითაც ეს-ესაა გამოიძღო კუჭი. სწორედ ასე ექცევიან საქართველოს სომხები და ოსები, რომელთაც სწორედ საქართველოს წყალობით გაიხანგრძლივეს თავიანთი უბადრუკი წუთისოფელი და ახლა ყველას არწმუნებენ – მიწები, სადაც ჩვენ ვდგავართ, ჩვენია და არა საქართველოსიო.

უამრავი ასეთი ღორი მოუსტუმრებია საქართველოს მათთვის შესაფერისი წესისა და რიგის დაცვით. არც ეს ჯაყოები და ვაზგენები იქნებიან გამონაკლისი...

**რ. შალამბერიძე**

**P.S.** საქართველო ალბათ იმანაც გამოაფხიზლა, რომ ჩვენი დამკვირვებლები უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე არ შეუშვეს, რითაც ჩრდილი მიადგა არ მხოლოდ ყოვლისგამყალბებელ საქართველოს ხელისუფლებას, არამედ სრულიად საქართველოს. ისიც ფაქტია, რომ უარყოფილი სტუმრის მიერ მასპინძლის კარის მტვრევაც სომხურ ბუნებას ესადაგება, თორემ ამგვარი დახვედრით შეურაცხყოფილი ქართველი კაცი ამაყად შემოტრიალდებოდა და იქაურობას გაეცლებოდა. მაგრამ ამათ კარგად უწყიან, რომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი იმის უვერტიურაა, რომ არასასურველი ხელისუფლება ჩვენც მალე ჩამოგვცილდება და ქვეყანა მშვიდად ამოისუნთქებს.

**ამინ!!!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დათვი თუ მოგერია...“




*...იძულებულები ვართ, ახალი პასპორტების აღებაზე თანხმობა განვაცხადოთ. ამით ქართველობას არ დავკარგავთ, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა და რამე სასიკეთო ჩვენთვის არ გაკეთდა, შესაძლოა, აფხაზეთიც საბოლოოდ დაიკარგოს. ჩვენ მეტი ყურადღება გვჭირდება. როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში კი მუდმივი პრობლემებია...*

*...აფხაზები ჩვენთან ურთიერთობების აღდგენას ცდილობენ, იქმნება ქართულ-აფხაზური ოჯახებიც. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია. ჩვენ მტრები არასოდეს ვყოფილვართ. უბედურება ისაა, რომ პოლიტიკოსთა ინტერესებს შეეწირა ჩვენი ერთობა...*

*...გალის ქართული მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებას პრეტენზიებს უყენებს...*

*...გალის რაიონში მოსახლეობამ თვითნებურად დაბრუნება ომის დამთავრების პირველსავე წლებში შეძლო. ამის მიზეზი, როგორც ისინი ამბობენ, დევნილობის გაუსაძლისი მდგომარეობა იყო. მძიმე ყოფას ბევრმა მათგანმა საკუთარ სახლში სიცოცხლის რისკის ფასად დარჩენა არჩია...*

*...გალში უნებართვოდ დაბრუნებულებისადმი საქართველოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გაჩნდა: ზოგმა ისინი გმირებად მონათლა, ზოგმაც ბრალი სამშობლოს ღალატში დასდო...*

*...ასე თუ ისე, გალში დაბრუნება შეუქცევადი პროცესი გახდა და ხალხის ტალღის შეჩერება იმხანად ვერც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო, შეიძლება ითქვას, არც უცდია...*

1999-2000 წლისთვის გალის რაიონში უკვე 50 ათასი კომლი ცხოვრობდა. ამ ეტაპზე მათი რიცხვი 60 ათასს აღემატება. სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად რაიონში ქართველების ცხოვრება დღესაც რთულია. მართალია, მატერიალურად არ უჭირთ, მაგრამ დეფაქტო ქვეყნის რეჟიმში ხალხს უკიდურესად მძიმე სიტუაციის ატანა უწევს. **„შინ დაბრუნების“** სურვილმა მათ შიშიც დააძლევინა. უმეტესობამ გადამწვარი სახლ-კარი ხელახლა ააშენა, განადგურებული მამული განაახლა და ცხოვრების რიტმს აჰყვა. როგორც კი გადააბიჯებ საზღვარს, თვალწინ სხვა სამყარო იშლება. გალის ქართველი მოსახლეობა შეეგუა მტრადქცეულ მოძმესთან თანაცხოვრებას. თითქოს მინელდა აგრესიაც. აფხაზიც და ქართველიც დანგრეული, გაბზარული ურთიერთობის განახლებას ცდილობენ. თვითნებურად დაბრუნებული ქართველები დღეს მშვიდობიან და უსაფრთხო ცხოვრებაზე საუბრობენ. მათი წუხილი დიდია. ისინი თავს მიტოვებულად გრძნობენ.

**„ენგურს გაღმა გაუსაძლის ყოფას გამოვექეცით და დანგრეულ, განადგურებულ სახლ-კარს დავუბრუნდით.** – ამბობს გალის რაიონის მკვიდრი **ნ. ა., – ჩვენთვის ამ არჩევანის გაკეთება ადვილი არ იყო. აქ ყოველ დაღამებასა და გათენებას შიშით ველოდებით. განუკითხავი სიტუაციაა. ადრე ჩვენი სოფლის ცენტრში რუსი სამშვიდობოები იდგნენ. ისინი აფხაზურმა ჯარმა ჩაანაცვლა, მაგრამ ამ ბოლო დროს რუსული არმია კვლავ გააქტიურდა. უკვე წლებია, ორივე ძალასთან თანაცხოვრება გვიწევს. ვერ გეტყვით, რომ ისინი გვაწიოკებენ, გვაოხრებენ, მაგრამ შიშის ფაქტორი მაინც არსებობს. ყველა ცდილობს, მოერიდოს აფხაზებთან შეხვედრას, არაფერს გვიშავებენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვენდობით.**

**შინდაბრუნებულებს გავერანებული სახლ-კარი დაგვხვდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ. ეს ადვილი არ ყოფილა. ერთხელ აფხაზები მოვიდნენ. გაოცება ვერ დაფარეს, როცა ქართველების მოვლილი მამულები ნახეს, გაუკვირდათ ჩვენი გულმოდგინება არსებულ გაურკვეველ სიტუაციაში, როცა არავინ იცის, რა მოხდება ხვალ; ქართველთა მიტოვებულ ბინებში ხომ აფხაზები დაბანაკდნენ. ჩვენ კი დავბრუნდით, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არც აფხაზეთისა და არც საქართველოს მთავრობა ჩვენზე არ ფიქრობს. ყველა თავისი ინტერესებისთვის გვიყენებს“.**

**ნ. ბ.: „ძალიან რთულ ვითარებაში ვცხოვრობთ. დავბრუნდით, მაგრამ უუფლებო ადამიანები გავხდით. ხომ გაგიგონიათ ხალხური სიბრძნე: „დათვი თუ მოგერიაო...“ ჩვენც ამ სიტუაციაში აღმოვჩნდით. სახლებიდან არავინ არ გვერეკება, მაგრამ იძულებულები ვართ, ბაღაფშის მთავრობის ყველა სურვილს ძალაუნებურად ავყვეთ. ამ ეტაპზე პასპორტიზაციით არიან დაკავებულნი. არ ვემხრობი მათ პოლიტიკას, მაგრამ, რაც ეს კონფლიქტი არსებობს, ჩვენთვის ვერავინ მოიცალა. დავიღალეთ ასეთი ცხოვრებით. არც ენგურ-გამოღმა გვთავაზობენ თავშესაფარს და არანაირ დახმარებას არ ვღებულობთ. ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენი არსებობაც დაავიწყდათ. რა ვქნათ, იძულებულები ვართ, ახალი პასპორტების აღებაზე თანხმობა განვაცხადოთ. ამით ქართველობას არ დავკარგავთ, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა და რამე სასიკეთო ჩვენთვის არ გაკეთდა, შესაძლოა, აფხაზეთიც საბოლოოდ დაიკარგოს. ჩვენ მეტი ყურადღება გვჭირდება. ხელისუფლებაში მუდმივი პრობლემებია, ყველა რაღაცისთვის იბრძვის. „ვარდების რევოლუციას“ იმედის თვალით შევყურებდით, გვეგონა, რომ რეალურად რაღაც შეიცვლებოდა. ახლა ეს იმედიც გადაგვეწურა“.**

**მ. შ.: „ხელისუფლებას ჩვენი არსებობა საერთოდ გადაავიწყდა. ვუძლებთ გაუსაძლის ცხოვრებას, განუკითხაობას. აფხაზები ძალაუფლებით სარგებლობენ. მეტი უპირატესობა გააჩნიათ და როცა უნდათ, ამას გვახსენებენ კიდეც. თუმცა ახლა აფხაზურ ჯარს უფლებები შეეზღუდა, უპირატესობა რუსულ არმიას აქვს. ერთი რამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო. აფხაზები ჩვენთან ურთიერთობების აღდგენას ცდილობენ, იქმნება ქართულ-აფხაზური ოჯახებიც. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია. ჩვენ მტრები არასოდეს ვყოფილვართ. უბედურება ისაა, რომ პოლიტიკოსთა ინტერესებს შეეწირა ჩვენი ერთობა“.**

**„აქ მოხუცების გარდა ახალგაზრდები და ბავშვები ცხოვრობენ.** – გვიამბობს სოფ. ნაბაკევის მკვიდრი ლამარა კ., – **ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ საქართველოში დღემდე ვერ დალაგდა სიტუაცია. ხელისუფლებაში მუდმივი ქაოსია, კვლავ სკამებისთვის იბრძვიან. ვფიქრობ, მიშას წასვლა ახალ არეულობას გამოიწვევს. ძლივს გვეღირსა ნორმალური პენსია და დახმარება, მერე იმასაც მოგვისპობენ. თუმცა ვახსოვართ კი ვინმეს? უკვე წლებია, მიტოვებულად და მარტოსულად ვგრძნობთ თავს. შიშის ქვეშ ცხოვრებამ დაგვღალა. არ მინდა, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა მუდმივად შიშით დაზაფრულებმა იცხოვრონ. ნორმალური ცხოვრება გვენატრება. ახლა რუსული პასპორტების აღებას გვთხოვენ. აქ ჩაკეტილებს სხვა გზა აღარ დაგვრჩენია – იმედით ველით ახალ მთავრობას, თუმცა ახლა ამ იმედსაც ვემშვიდობებით. ერთმანეთთან კინკლაობაში საქართველომ, არა მგონია, გაიხაროს“.**

დე ფაქტო აფხაზეთში, გადამწვარ და გავერანებულ სახლ-კარში, ქართველი მოსახლეობა ენგურგამოღმა გაუსაძლისმა ცხოვრებამ, უსახსრობამ დააბრუნა.

**ი. ზ.: „ენგურგაღმა საქართველო აუტანელი ყოფის გამო დავტოვეთ. სამწუხაროა, რომ მიდგომა დევნილების მიმართ არ შეცვლილა. დევნილთა ადამიანურად ცხოვრებისათვის არაფერი კეთდება. დევნილთა დახმარებისა და შემწეობის ამარა 6-სულიან ოჯახს არსებობა გაგვიჭირდა. შვილებს საჭმელი რომ არ მოჰკლებოდა, სხვის სახლებში მონური შრომა დავიწყე. ასე ცხოვრება კი გაუსაძლისი გახდა, ამიტომაც დავუბრუნდი მიტოვებულ კერას და გადამწვარი სახლი ხელახლა აღვადგინეთ. დღეს საკმაოდ ბევრი ქართული ოჯახია ჩვენს სოფელში. შეკეთდა სკოლა და აღდგა სასწავლო პროცესი. გალის ქვედა ზონის სოფლებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, დანარჩენში კი – რუსულად. გასულ სასწავლო წელს სკოლებში აფხაზური ენის სწავლება დაიწყო. ქართველები ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. აფხაზების ენა ადრეც რომ გვცოდნოდა, შესაძლოა, ბევრი მსხვერპლი აგვერიდებინა თავიდან. გარდა ამისა, აღდგა სამედიცინო ამბულატორია, სასწრაფო დახმარების სამსახურიც ამუშავდა. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც გვჭირდება. ძნელია, იცხოვრო ცუდის მოლოდინით, მაგრამ მაინც ვახერხებთ, როგორც იტყვიან, ვუძლებთ. არც სახელმწიფო და არც აფხაზეთის მთავრობა ჩვენი დახმარებით თავს არ იწუხებს. ქართველები და აფხაზები ვცდილობთ, ძველი წყენა დავივიწყოთ და ერთმანეთს გავუგოთ. ჩვენ თვითონ თუ არ გამოვნახეთ საერთო ენა, მეეჭვება, სხვა ვინმემ გვიშუამდგომლოს. ამ ხნის განმავლობაში არც ერთ ძალას ჩვენი ერთად ცხოვრების აღსადგენად არაფერი გაუკეთებია“.**

ქართველებისა და აფხაზების სატკივარი ერთია – ყველას მშვიდად და უშფოთველად ცხოვრება სურს თავის მამულში. მაგრამ აფხაზებს, ჩვენგან განსხვავებით, დამოუკიდებელ აფხაზეთში უნდათ ცხოვრება. ქართველებთან დაახლოებულ ერთ-ერთ აფხაზთან (სახელსა და გვარს შეგნებულად ვერ ვასახელებთ) საკმაოდ გულახდილი დიალოგი წარიმართა.

**„მინდა მშვიდობა. არ მინდა ომი და უბედურება, რაც ჩვენ გამოვიარეთ.** – ამბობს აფხაზი, – **დროა, ჩვენმა შვილებმა მშვიდობიან აფხაზეთში იცხოვრონ; დაგვღალა იარაღის ჟღარუნმა. ძალიან მინდა, აღსდგეს მიმოსვლა აფხაზეთსა და საქართველოს შორის. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. თქვენი პრეზიდენტის დამოკიდებულება ჩვენთვის მიუღებელია. არ მოგვწონს მისი რადიკალიზმი. ვერავინ შეძლებს წაგვართვას ის, რაც კანონის ძალით გვეკუთვნის. მე ქართველების მტერი არ ვარ. ცუდია, რომ დაპირისპირებამ ომამდე მიგვიყვანა. ვიბრძოდი თავიდანვე. ჩემთვის მძიმე იყო ეს ომი. არაერთი ქართველის სიცოცხლე გადავარჩინე, მათ შორის იყო 9 წლის პატარა ბიჭი, რომელიც ოჩამჩირის რაიონში საწნახელში მიყუჟული ვიპოვე. რომ არ გამომეყვანა, ჩეჩნები მოკლავდნენ. სამი დღის ძებნის შემდეგ მოვახერხე, ბავშვი დედისთვის ჩამებარებინა. ეს ცხრა წლის ბიჭუნა გვარად გაბისკირია იყო. დღეს, როგორც ვიცი, ის მოსკოვში სტუდენტია, ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლობს. მეც მყავს შვილები. მინდა, რომ მშვიდობიან ქვეყანაში იცხოვრონ. აქ მეგრელებთან (ასე ეძახიან ქართველებს. ავტ.) თბილი და ახლო ურთიერთობა მაქვს. ვცდილობ, დახმარების ხელი გავუწოდო. ბევრი შიშის თვალით გვიყურებს, სასტიკები ვგონივართ. ეს დრომ მოიტანა, მაგრამ თანდათან ყველა რწმუნდება, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და გვესმის ერთმანეთის. სოფელში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ძირითადად, მეგრელები სახლობენ, ჩვენსა და მათ შორის უკმაყოფილება ჯერ არ მომხდარა. ვცდილობთ, ერთმანეთს გავუგოთ, რაც შეძლებისდაგვარად, გამოგვდის კიდეც“.**

**ირმა ჩიტაია**

# მოსმენა და გაგონება

## მომისმინე თორემ დაგასმენ, ანუ რას ფიქრობს ხალხი?

***ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა ჩაატარა გამოკითხვა: ყველაზე მეტად ვის უსმენს და უჯერებს პრეზიდენტი სააკაშვილი?***

***პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ: მისი უცხოელი კოლეგები – 7,68% და საკუთარი პოლიტიკური გუნდი – 7,29%.***

***მკითხველთა აზრით, მათ შორის, ვისაც პრეზიდენტი უსმენს, ხუთეულში მოხვდნენ: საერთაშორისო ორგანიზაციები – 6,94%, ჟურნალისტები და მასმედია – 5,13% და, ასევე, პოლიტოლოგები და ექსპერტები – 4,16%.***

***ბოლო ადგილებზე გავიდნენ: ხალხი – 3,89%, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები – 3,64%, ინტელიგენცია – 3,46% და ოპოზიცია – 2,80%.***

***საგულისხმო შედეგებია, დამეთანხმებით.***

გამოდის, რომ ხალხის მიერ ოთხმოცდარაღაცა პროცენტითა და ჯერჯერობით მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი ხალხის გარდა ყველას უსმენს, ვისაც ლაპარაკი არ ეზარება. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ხალხი.

ხალხი იმასაც ფიქრობს, რომ პრეზიდენტი თავის უცხოელ კოლეგებს რომ უსმენდეს, ასე უბედურად არ ვიქნებოდითო, მაგრამ ეს უკვე ის შემთხვევაა, როცა აღარ აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობს ხალხი.

უბრალოდ, უნდა გვიხაროდეს, რომ ხალხს ჯერ კიდევ შეუძლია ფიქრი.

ერთი პატარა შენიშვნაც: იმავე ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ ფიქრობს, თუ ჰკითხავ, მიშა თუ არა, აბა მაშ სხვა რომელი პოლიტიკოსი უსმენს ხალხსო, რას გიპასუხებენ იცით?

– რა თქმა უნდა, ვანო მერაბიშვილი!

და მართლებიც იქნებიან! ამ ჩვენს საყვარელ, მრავალჭირგადავლილ, თავისუფალ, დემოკრატიის მაშენებელ საქართველოში ერთადერთი ხელისუფალი, რომელიც ხალხს უსმენს, ვანო მერაბიშვილია! და აღარ უნდა ახლა ამას დიდი გამოკითხვა და ანკეტების ფრიალი! მთელმა საქართველომ და მსოფლიომ იცი რომ გვისმენს! ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!

ჰოდა, ჩემო ძვირფასო თანამოქალაქეებო, თანაქვეყნელებო და **„ადნაკლასნიკებო“**, თუ ასეა საქმე და თუ თქვენც მეთანხმებით ამაში, მოდით, ერთად ავირჩიოთ ვანო პრეზიდენტად და გვისმინოს რამდენიც გაუხარდება. პრეზიდენტიც ინფორმირებული გვეყოლება, ხალხიც დასმენილ-მოსმენილი და, რაც მთავარია, ეს აბეზარი სოციოლოგები ამის მერე მაინც ველარ იტყვიან ნიშნის მოგებით – საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ ხალხს არ უსმენსო! დამიჯერეთ, ყველანი დავისვენებთ.

დაახლოებით ისეთი სიტუაცია იქნება, როგორც ურთიერთობა იმ ქალსა და მამაკაცს შორის, ჯერ რომ საყვარლები არიან და შემდეგ ქორწინდებიან (საქმე იგივეა, ოღონდ მეორე შემთხვევაში ყველაფერი ლეგალურია!).

ახლა მკითხავთ, ვანოს პრეზიდენტად არჩევას რომ მოგვიწოდებ, მკურნალი ექიმი ან ნაცნობი ფსიქიატრი მაინც არ გყავს და თუ გყავს, რად არ უსმენ და უჯერებო.... მეც კახურად გიპასუხებთ: სააკაშვილს რომ ყავს ერთიცა და მეორეც, ან რაში გამაადგა, ან რომელ ერთს მოუსმინა და დაუჯერა რო?!

**ლექსო ლეკიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

იმათს ნათქვამს ყველაფერს წინდაწინვე მატყობინებდა ჩემი თარჯიმანი ბესარიონ ქავთარაძე, ასე რომ როცა ფულის ანგარიში წარმომიდგინეს, მე წინადვე გადაწყვეტილი მქონდა, რა მეთქვა მათთვის ან როგორ მოვქცეულიყავ. გამოვართვი ანგარიში. რასაც მთხოვდნენ ფულს, ყველა მაშინვე დავუთვალე და ბარათიც ჩამოვართვი ფულის მიღებისა. მე, რა თქმა უნდა, ტუტუცად ჩამთვალეს, ამიტომ რომ ჯარისკაცებს, სულ ბევრი, ორის თუმნის ღვინო თუ ჰქონდათ დალეული, ჩემგან კი ასოცი მანეთი ჩაიჩხრიალეს ჯიბეში! მე გულითადი მადლობა გადამიხადეს მათის თხოვნის შესრულებისათვის, თან გული-გულში დამცინოდნენ. აბა რას მოიფიქრებდნენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო საქმისა და დასასრული შემდეგ იქნებოდა.

როცა აჯანყებულ გლეხების საქმე გამოვიძიე, დამნაშავე ჯარისკაცები გავამათრახებინე, სამი თუ ოთხი, და მათ შორის, თეიმურაზ თოფურიას ძმობილი ბასაიაც სენაკში გავგზავნე ერთი თვის ვადით საპატიმროში გასაჩერებლად. მერე ფაღავები მოვიხმე და გამოვუცხადე, რომ ასეთ ამბებს სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს და ამისათვის საჭიროა ყველა გლეხს თავისი გადასახადი გავაწეროთ-მეთქი. ფაღავებმა ამაზე უარი ვერ მითხრეს; ჯიბეში ას ოცი მანეთი ედოთ და ამით წაქეზებულებმა გამომიცხადეს – რასაც გვიბრძანებთ ყველაფერს ავასრულებთო. ეს რომ მითხრეს, დავსვი ჩემი თანამშრომლები, მეც გვერდით მოვუჯექი და შევუდექით საქმესა.

მოვიწვიეთ სათითაოდ ყველა ფაღავების გლეხები და ორისავე, გლეხისა და ბატონის, გამოკითხვის შემდეგ, ვწერდით **დებულებას**, ესე იგი, ვწერდით, გლეხს რა სამსახური მართებდა ბატონისა ან რა უნდა გადაეხადნა მისთვის. თუ ვინიცობაა, ბატონის და გლეხის ნათქვამი ერთი-მეორეს არ მიუდგებოდა, ამ შემთხვევისთვის არჩეული გვყავდა მედიატორები. წინასწარ ორსავე მხარეს, ესე იგი, ბატონსა და გლეხს, პირობა ჩამოვართვით, ყველაფერში დამორჩილებოდნენ მედიატორის გადაწყვეტილებას. იმისთვის, რომ ყველანი დარწმუნებული ყოფილიყვნენ მედიატორეთა მიუკერძოვებლობასა და პირუთვნელობაში, ამათ ფიცი ჩამოერთვათ. დებულებას, ორსავ მხარისა და მედიატორების-მიერ ხელმოწერილს, ერთს მემამულეს ვაძლევდით, მეორეს – გლეხს და მესამეს საოლქო სამმართველოში ვიტოვებდით. ამასთან, ორივე მხარეს გამოვუცხადეთ, რომ ამიერიდან მებატონეებს არ შეეძლოთ გლეხებისათვის საჭმელ-სასმელი მოეთხოვნათ, ისიც გამოვუცხადეთ, რომ ბატონებს არ შეეძლოთ გლეხებისთვის ქალები გამოერთმიათ მოახლეებად. ამის ხელწერილი მოგვცეს ორივე მხარემ. ფაღავები ჰგრძნობდნენ, რომ ასოცი მანეთი ტყუილად არ მიმიცია, მაგრამ რა ექნათ და ყველა პირობაზე ხელი მოგვიწერეს.

ნახუნუს აჯანყების დამშვიდებას და დებულებათა შედგენას მთელი ორი კვირა მეტი მოვუნდი. ბედნიერი დღეები და ახალი წელიწადი ქრისტესებრ ვიტანჯე. მხოლოდ ნუგეშად ისღა მრჩებოდა, რომ **"დებულების"** შემოღების შემდეგ მაინც ბოლო მოეღებოდა მებატონეთა თავგასულობას და იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც მებატონეებმა და გლეხებმა დასდვეს ურთიერთ შორის.

ნ.პ. კოლუბიაკინი ლოგინში მწოლარე დამიხვდა, მეგობრულად გადამეხვია და მადლობა მითხრა ჩემის მოქმედებისათვის. ნაკაშიძე დიდხანს უამბობდა ნახუნუს ამბავს; გენერალი გულიანად იცინოდა. თეიმურაზ თოფურიაც ცდილობდა თავისებურად ეამბნა თავისი დიპლომატიური საქციელი მთაში გახიზნულებთან. ღვინისათვის ასოცი მანეთი რომ გადავიხადე, ეს ფული ექსტრაორდინალურ ხარჯისათვის გადადებულ თანხიდან დამიბრუნეს. როცა კოლუბიაკინი იმდენად მოკეთდა, რომ ოთახში შეეძლო სიარული, მოიხმო ფაღავები და უთხრა: **"დებულებაში"** რაც გიწერიათ, ყველაფერი სიტყვა-სიტყვით უნდა აასრულოთო; თუ რამე გადაგიცილებიათ და ხალხს ის მოსთხოვეთ, რისაც მოვალენი არ არიან, და ამის წყალობით გლეხები აგიჯანყებიათ, საზოგადო მშვიდობიანობის დამრღვევებად ჩაგთვლით და თქვენს ქონებას სამზრუნველო სამმართველო დაენიშნებაო.

**3**

1858 წლის იანვრის თვეში, როგორც იყო, დაბოლოვდა გამოძიება წინა წლის მეამბოხეთა საქმისა. შეპყრობილ იქმნა 38 კაცი და სამეგრელოს მმართველმა მთავარმართებელს მოახსენა – ვინ რაში და რამდენად იყო დამნაშავე. მთავარმართებელმაც წარდგენილება დაამტკიცა. ყველა 38 დამნაშავე სხვა-და-სხვა ვადით რუსეთის შიდა გუბერნიებში გაამგზავრეს საცხოვრებლად. ყველაზე დიდი ხანი სასჯელისა ხუთი წელი იყო. ამ ვადით სამი მეთაური გაგზავნეს. მათგან კოჩა თოდუა რუსეთში მოკვდა, ორნი კი სამშობლოში დაბრუნდნენ და, მგონი, დღესაც ცოცხალნი არიან. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ნ.პ. კოლუბიაკინი ყველას ლმობიერად მოექცა, ამიტომ, რომ იმდენი ხალხი აჯანყდა და მარტო ოც და თვრამეტი კაცი გადაასახლეს. მხოლოდ სამწუხარო იყო ზანაში მომხდარი ამბავი. აქ ყაზახრუსებმა იარაღი იხმარეს და რამდენიმე კაცი მოკლეს კიდეცა. მაგრამ ეს ჩიქოვანების თავქარულ განზრახვის წყალობით მოხდა.

წინა წლის არეულობას ხალხისათვის არც თუ უშედეგოდ ჩაუვლია. იანვრის დამლევს ხალხს პური და სიმინდი შემოაკლდა და ჩვენ იძულებული ვიყავით მივშველებოდით. გენერალმა ბრძანა, სიმინდი და პური იმერეთში გვეყიდნა და ახალ მოსავლამდე სესხად დაგვერიგებინა ხალხისათვის. ამან ხალხი შიმშილობას გადაარჩინა და ყანებიც დასთესეს.

თებერვალში დ.ი. ყიფიანი და ჭილაშვილი მორჩნენ სამეგრელოს შემოვლას, აღნუსხეს მთავრის მამულები და ოლქის უფროსებს მოგვმართეს გვეცნობებინა საბაზრო ფასები სამეგრელოს სოფლის ყოველგვარი ნაწარმოებისა, როგორც მაგალითად: ხორბლისა, სიმინდისა, ღვინისა, საქონლისა და სხვა და სხვა. ამან, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა, და პასუხის მიცემაც გამიჭირდა. იმ გაჩანაგებულ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მაშინ სამეგრელო იმყოფებოდა, ძნელი იყო კაცს ნამდვილი ფასები შეეტყო რისაც უნდა ყოფილიყო: პური თვითონ უჭირდა ხალხსა, მაშასადამე, არ შეეძლო მოჭარბებული პური ბაზარში გამოეტანა და გაეყიდნა; იმერეთიდან მოტანილი პური კი, რა თქმა უნდა, ნორმალურ ფასზე მეტი ღირდა; ხოლო უპურობის წყალობით სხვა ნაწარმოებს ფასი აკლდებოდა, ამიტომ რომ ამ ნაწარმოებს ღირებულზე ნაკლებ ფასად ასაღებდნენ, როცა იმერეთიდან მოტანილ პურში სცვლიდნენ. ეს კიდევ არაფერი, მზრუნველი არამც თუ უკანასკნელის წლის ფასებსა გვთხოვდა, არამედ უკანასკნელის ათი წლის საშუალო ფასებსაც; ამას, რა თქმა უნდა დანამდვილებით სულ ვერ შეატყობინებდა რუსის ადმინისტრაცია. მაგრამ მაინც უნდა დაგვეკმაყოფილებინა როგორმე დ. ყიფიანი და ეს საქმე მივანდე სენაკის საპოლიციო ბოქაულსა და ნამდივანბეგარს, ხანში შესულს და მეტად მიხვედრილ კაცს, თავადს მაქსიმე ბოროს ძე ქოჩაქიძეს მივანდეთ. რაც ციფრები ქოჩაქიძემ შეკრიბა, მაშინათვე დ. ყიფიანს გავუგზავნე. თან, ძალიან გულით მინდოდა შემეტყო, თუ რისთვისა სჭირდებოდა ყიფიანს ეს ცნობები და, ორის კვირის უკან, როცა შევხვდი, ვკითხე. მითხრა, ამ ციფრებით უნდა ვიხელმძღვანელოო და ისე უნდა გავაწერო გადასახადი ფულად სადადიანო გლეხებსაო. მერე სულადისა და სამსახურის მაგიერ ფულად უნდა გამოვართვაო. მე სახტად დავრჩი. ამ გამოანგარიშების წყალობით მთავრის ყოველწლიურ შემოსავლის ჯამი 120.000 მანეთამდე ავიდა. მაგრამ ოსმალეთის ომმა და შინაურმა ამბოხებამ ხალხი ძალიან დასცა ქონებრივად და მესამედს ვაპატიებო, – მითხრა დ. ყიფიანმა – დარჩება 80.000 მანეთი და ეს კი უეჭველად უნდა გადავახდევინოვო.

დ. ყიფიანს, როგორც კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრს, მაშასადამე, როგორც დიდი ხარისხის კაცს, აგრეთვე, კაცს, რომელსაც, როგორც ლაპარაკში შევატყე, არ უყვარდა პატარა მოხელისგან რაიმე ჭკუის სწავლება, ვერაფერი ვუთხარი მისის მოქმედების შესახებ და ისევ სიჩუმე ვარჩიე: მაგრამ ნ. კოლუბიაკინი შემხვდა თუ არა, მაშინათვე მოვახსენე, რაც დ. ყიფიანისგან გავიგონე. სამი ათას კომლ გლეხებისაგან 80.000 მანეთის მოგროვება არც თუ უსამართლოდ, არამედ ფიზიკურად შეუძლებლად მიმაჩნდა. აქაური გლეხები ვალდებულნი იყვნენ მთავრისათვის ჭირნახულის ერთი ნაწილი მიეცათ, როგორც ამას სხვა ყველა მებატონეთა გლეხები შვრებოდნენ; **რასაც მიწა მისცემდა, იმასვე აძლევდნენ მებატონეს**,– აი მათი მოვალეობა, დებულების ქვაკუთხედი. ბატონს არ შეეძლო ეთქვა გლეხებისათვის: **"ქათმის მაგივრად ორი შაური მომიტანე და ბათმან (18 გირვანქა) სიმინდის წილ – ორი აბაზიო"**, ბუნებრივის გადასახადის მაგიერ ფულის მოთხოვნა – ძალმომრეობად ითვლებოდა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ზედმეტი უნდა ყოფილიყო ლაპარაკი ფულის გადასახადის აღების შესახებ. თუმცა ასეთი აზრი, – ვუთხარი კოლუბიაკინს, – ყოველ საბუთს მოკლებულია, მაგრამ მაინცა, ვთქვათ რომ გლეხები ყაზახ-რუსების მათრახებით შევაშინეთ და ფულით გადასახადი დავადეთ, – საიდან უნდა იშოვნოს სამმა ათასმა კომლმა გლეხმა 80.000 მანეთი, როცა ამდენი ფული მთელს სამეგრელოს, ესე იგი, 28.000 კომლს არა აქვს-მეთქი! აშკარა იყო, რომ დ. ყიფიანი ცდებოდა, ნ. კოლუბიაკინიც მაშინავე მიხვდა ყველაფერს და მითხრა, როგორც კი ვნახავ ყიფიანს, ამის შესახებ მოველაპარაკებიო. რამდენსამე დღის უკან საიდუმლოდ შემდეგის შინაარსის წერილი მომწერა კოლუბიაკინმა: ყიფიანმა თვითონაც კარგად იცის, რომ 80.000 მანეთის აკრეფა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ამდენად იმიტომ დააფასა სადადიანო გლეხების გადასახადი, რომ, თუ ვინიცობაა, სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, რუსის მთავრობამ იცოდეს, რამდენით უნდა დააჯილდოვოს მთავარი და ამით საქმე გაუადვილდესო. ამდენი მოსავალი მხოლოდ სიტყვითაა, თუმცა, მართალია, დაახლოვებით მაინც აღნიშნავს ფასს იმ ჭირნახულისას, რომელიც გლეხმა მთავარს უნდა აძლიონ. მთავრისათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იქნება სამთავროზედ ხელის აღებისათვის ამდენის ყოველწლიურის სასყიდლის მიღებაო. კოლუბიაკინის ამნაირი აზრი იმდენად არ მომწონებია, მაგრამ ბოლოს მაინც დასძენდა: ყიფიანს დიდი ხანია ვიცნობ და ვფიქრობ, რომ, მართალია, მთავრის ერთგულობასა ცდილობს, მაგრამ კეთილგონიერებასა და სამართლიანობის გრძნობას მაინც არ უღალატებსო. **"ყოველსავე შემთხვევაში,– მწერდა ბოლოს გენერალი,– ჩვენ ყველაფერს გავიგებთ და, რა თქმა უნდა, ვეცდებით, მთავრის მზრუნველის ზომასგადასულ ერთგულობას ფრთა შევაკვეცოთო".**

მარტში, სამეგრელოში სამი საინტერესო სტუმარი გვეწვია,– სამი აგენტი ფრანგების რკინის გზის კომპანიისა (რომლის მეთაურად ითვლებოდა სახელგანთქმული კოლიანინი) – კაპიტანი დავიდი, ბატონი შარპანტიე და სამსახურიდან გამოსული რუსის გუსარი ბარონი კრონინგი. ესენი იყვნენ პირველნი მოამბენი სარკინისგზო მოძრაობის ახლად დამდგარ ხანისა. მაშინ განზრახული იყო რკინის გზა გაეყვანათ მოსკოვიდან ფეოდოსიამდე და მუშაობა ორსავ მხრით ერთად უნდა დაეწყოთ. ფედოსიაში ლიანდაგისათვის საჭირო ხე-ტყის შოვნა იკისრა ტრონისა და გოტრონის კომპანიამ, და კომპანიის მმართველობამ ხსენებული სამი აგენტი გაგზავნა სამეგრელო-სამურზაყანოს მემამულეებთან მოსალაპარაკებლად ხე-ტყის სყიდვის შესახებ. ფრანგმა გრაფ როზმურდიუკმა, რომელიც ამ მხარეში აგერ თხუთმეტი წელიწადი სცხოვრობდა, ამ საქმეში შუამავლობა იკისრა და აგენტებს სამეგრელოს აზნაურები ჩხოლარიები გააცნო, რომელთაც ანაკლიის ახლო მშვენიერი ტყე ჰქონდათ. საქმე კარგად მიდიოდა და გენერალი, რა თქმა უნდა, რაც შეეძლო, ხელს უმართავდა ფრანგებს.

მათი აქ მოსვლა მეტად გვახარებდა. გვპირდებოდნენ, რომ ორის წლის შემდეგ ფეოდოსიიდან გზას გავიყვანთო. იმედი მოგვეცა, მალე საქართველოც შეუერთდება პეტერბურგსა და მოსკოვსაო. მაშინ აქედან პეტერბურგში ჩასვლა დიდ გმირობად და ვაჟკაცობად ითვლებოდა. სამეგრელო ძალიან მოეწონათ ფრანგებს. ვინ იცის – რეებს არ დაგვპირდნენ – უცხოეთის ფულიან კაცებს მოვიყვანთ და კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეს ბაზარს გავიხსნითო, და ჩვენც, ბავშვებივით, ყველაფერს ვუჯერებდით. ფულები აუარებელი ჰქონდათ და მათი ჯამაგირები ყველას გვაკვირვებდა: დავიდს, მაგალითად, 12.000 მანეთი ეძლეოდა წლიურად, შარპანტიეს – 6 ათასი, კნორინგს 4.500. სამეგრელოს მმართველის ჯამაგირი 7 ათას მანეთს უდრიდა, ასე რომ რომელიღაც ფრანგის კომპანიის უფროსს აგენტს თითქმის ორი იმდენი ჯამაგირი ჰქონდა. რაღაც ახალმა სიომ დაგვბერა; მანამდე, სამსახურის გარეშე თუ შეიძლებოდა ფულის შოვნა, არ გვეგონა, მაშინ კი აშკარად დავინახეთ, რომ კერძო საქმეებსაც დიდი მოედანი ეშლებოდა წინ, პატივი ედებოდა. ფრანგების კომპანიის გარდა სხვებმაც გვიჩვენეს ამის მაგალითი; წინა წელს კავკასიაში მოვიდა ერთი შეძლებული რუსი მწარმოებელი ბატონი ნოვოსელსკი თავისი აგენტებითურთ. ფულით კოჭაობდნენ ყველანი, ჯამაგირები იმათაც დიდები ჰქონდათ. ამათ რომ ვუყურებდით, ჩვენ, საწყალ მოხელეებს, მეტად მცირედის ჯამაგირების პატრონებს, თავბრუ გვესხმოდა. მაგალითად, ოლქის უფროსს რა ტანჯვა-წამება ჰქონდა და ჯამაგირი 1.500 მანეთი ეძლეოდა, ესე იგი ვიღაც სამსახურიდან გასული გუსარის, რომელიღაც ფრანგის კომპანიის უმცროს აგენტის მესამედი! ჯამაგირების ამნაირმა უსწორ-მასწორობამ ბევრ სახელმწიფო სამსახურში მყოფებზე, რომელთაც დაწინაურების იმედი არა ჰქონდათ, მეტად ცუდად იმოქმედა.

მაგრამ დიდს ხანს არ გაგრძელებულა ეს დღენი სიხარულისანი. გენერალ კოლუბიაკინს ბარიატინსკისაგან მოწერილობა მოუვიდა, ერევნის სამხედრო გუბერნატორობა იკისრეო. ისიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა, ამიტომ რომ ამით შესაძლებლობა ეძლეოდა უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა მთავარმართებელთან. კოლუბიაკინს, რა თქმა უნდა, უხაროდა გადაყვანა, ამიტომ, რომ ტანსიმრთელე მოაკლდა და სამეგრელოს მართვა უჭირდებოდა, მაგრამ მისი მოშორება ყველასა სწყინდა და განსაკუთრებით მე მწყინდა, რადგან იმის წინადადებით მისულს სამეგრელოში, დიაღ, მეძნელებოდა მისი მოშორება, მაგრამ არც მასთან ერევანში წასვლა შემეძლო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ უკვე დავინიშნე, ჩემი დანიშნული ქუთაისში სცხოვრობდა და ჯვარი აპრილში უნდა დაგვეწერა.

ამ მიზეზებისა გამო ვიფიქრე ქუთაისში გადავსულიყავ სამსახურში და მინდოდა თავად რ. ერისთავისთვის მეთხოვნა დახმარება. მაგრამ ამ დროს ტფილისიდან ამბავი მოვიდა, ნ. კოლუბიაკინის მაგიერ მის ძმას მიხეილ კოლუბიაკინს ნიშნავენო. მიხეილ კოლუბიაკინს კერძოდ ვიცნობდი როგორც გულკეთილ კაცს; მისი ძმა დამპირდა, თქვენი შუაკაცი ვიქნები და ერთმანეთს დაგაახლოვებთო.

აპრილის დასაწყისში თეკლათიდან კოტიანეთში გადაველი კაცია ბატონიშვილის სასახლეში. სამი კვირის შემდეგ აქ უკვე დაცოლიანებული ვცხოვრობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო საერთაშორისო არენაზე 1918-1921 წლებში



***1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა და კაიზერულმა გერმანიამ ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის პირობები უმძიმესი იყო რუსეთისათვის. რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთი, ბელორუსიისა და ლიტვის ნაწილი. საბჭოთა მთავრობა გერმანიას უხდიდა დიდ კონტრიბუციას. ზავის IV მუხლის ძალით, ოსმალეთის ხელში გადადიოდა არდაღანის, ყარსის ოლქები და აჭარა ბათუმითურთ.***

თბილისში უკვე 2 მარტს კარახანის დეპეშის შედეგად შეიტყვეს რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ. იმავე დღეს სეიმისა და მთავრობის სახელით კ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა პროტესტი განაცხადეს და ყველა ქვეყანას აცნობეს, რომ არ ცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას.

**ტრაპიზონში ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია 1914 წლის, ესე იგი, ომამდელი საზღვრების მთლიანად შენარჩუნებას ცდილობდა, შემდეგ ის ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილის დათმობაზე წავიდა. მხარეთა შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, თურქეთის ჯარები კი ძლიერ შეტევას განაგრძობდნენ. მათ დაიკავეს ყარსი, არდაღანი, ოზურგეთი, ახალციხე, ბათუმი. ამ დროს ტრაპიზონის საზავო კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა.**

ფრონტზე წარუმატებლობამ აიძულა ამიერკავკასიის მთავრობა, დათმობაზე წასულიყო. იგი იძულებული შეიქმნა ეღიარებინა ბრესტის საზავო ხელშეკრულება. მიიღეს გადაწყვეტილება – განეახლებინათ მოლაპარაკებანი, მაგრამ თურქეთის მმართველმა წრეებმა ახლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარირებული აღიარებაც მოითხოვეს. თურქეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ, დასუსტებულ მეზობელს ადვილად წამოაჩოქებდა და ახალ-ახალ დათმობებს გამოსძალავდა.

1918 წლის 9 აპრილს სეიმმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების თაობაზე, თურქეთმა კი გააგრძელა შეტევა. ნ. ჟორდანია თავის მემუარებში აღნიშნავს: **„შედეგს არ დაუყოვნებია, ოსმალო შემოიჭრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი, გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, ტფილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ, ამისათვის მიემატებინათ ტფილისიც“.**

თურქეთის ექსპანსიამ ამიერკავკასიაში შეაშფოთა ანტანტის ქვეყნები. ამერიკის კონსული თბილისში სმიტი 10-12 მარტის დეპეშებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ატყობინებდა ამიერკავკასიაში უკიდურესად კრიტიკული ვითარების შესახებ, რაც შეიქმნა თურქეთის აგრესიის შედეგად და დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიისათვის ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ლანსინგის საფრანგეთში აშშ-ის ელჩ შარფისადმი 1918 წლის 18 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული იყო: **„სიტუაცია კავკასიაში უკიდურესად კრიტიკულია: თურქები უტევენ, სომხებს ემუქრება სრული განადგურება, თუმცა შესაბამისი ხელმძღვანელობით და ფინანსური დახმარებით უკანასკნელთ შესწევთ, უზრუნველყონ დიდი სამხედრო ძალა. ბრიტანეთის წარმომადგენლობამ უნდა მიიღოს უფრო საფუძვლიანი ზომები, თუ სურთ გადაარჩინონ მდგომარეობა.**

**თბილისის კონსული იტყობინება, რომ გერმანია ახორციელებს თავის გეგმას ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის გამოყენებით. თათრები და ადგილობრივ მოსახლეობად შენიღბული თურქები, რომელთაც თურქეთის მუსლიმანური ლიდერები ამარაგებდნენ ბევრი ფულით, აწარმოებენ გამალებულ საქმიანობას, წარმოქმნიან უწესრიგობას, შეტაკებებს თერგის კაზაკებსა და მუსლიმანურ ტომებს შორის. შეიარაღებული მუსლიმანები თავს ესხმიან სომხურ სოფლებს და სამხედრო ქვედანაყოფებს. სიტუაცია უარესდება მოკავშირეთა ჩაურევლობით. კავკასიის ნაწილზე თურქეთის მოთხოვნამ აიძულა ქართველები, შეეთავაზებინათ სომხეთთან კავშირი. ფრონტის დაცვა მთლიანად დამოკიდებულია სომხებზე, ვინაიდან მათი ძალები ამჟამად შეადგენს 15000 კაცს თურქეთის ქვეშევრდომთაგან და 2500-ს რუსეთის ქვეშევრდომთაგან. გარკვეული დახმარებით ქართველები შეძლებენ 30000 კაცის შეიარაღებას. პრემიერ-მინისტრი ითხოვს დახმარებას და ამტკიცებს, რომ ქართულ-სომხური არმია შეაკავებს თურქებს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის სასწრაფო ფინანსური და სამხედრო დახმარების იმედის გარეშე თურქები შეძლებენ კავკასიის ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპირებას. თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო ზომები, მაშინ 2 თვის განმავლობაში მოხდება ასეთი ოკუპაცია და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა აუცილებლად მოსალოდნელია. გთხოვთ, ყველაფერი ეს გადასცეთ მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს...“**

მოკავშირეთა სამხედრო საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გენერალმა ბლისმა კატეგორიულად მოსთხოვა ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამიერკავკასიის მოვლენებზე. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია:

**„1 დეკემბრის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ რუსეთის არმიებს აღარ ძალუძთ სომხეთის დაცვის უზრუნველყოფა კავკასიაში და 18 დეკემბერს მთელ კავკასიაში გამოცხადდა დროებითი დაზავება, შემდგომში ზავის დადების ანგარიშით. ამასთან, 14 დეკემბრის წინა დღით სამხედრო კაბინეტის თათბირის შედეგად, ბრიტანეთის წარმომადგენელმა კავკასიაში მიიღო მითითება, ნება დაერთო, სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებს, შეესყიდათ რუსეთისაგან იმდენი იარაღი, რამდენის გამოყენებასაც ისინი შეძლებენ. ასევე, შეპირდებოდა ისეთ ფინანსურ დახმარებას, როგორიც მათ მანეთებში დასჭირდებოდათ“; 2. იმის გამო, რომ წარმატების ერთადერთი იმედი მდგომარეობს სხვადასხვა ეროვნებათა – სომხების, ქართველების, თათრების – ერთ პოზიციად გაერთიანებაში, თურქეთის საწინააღმდეგოდ ყველა ღონისძიება იქნა მიღებული ამ გეგმის განსახორციელებლად, ეროვნული საბჭოების და ეროვნული ლიდერების მეშვეობით. ბაქოს თათრები აშკარად არიან განწყობილნი პროთურქულად. 11 მარტს დაეცა ერზრუმი, 13 აპრილს – ბათუმი. მშვიდობიანი მოლაპარაკება ტრაპიზონში შეწყვიტა ამიერკავკასიის მთავრობამ წინააღმდეგ საქართველოს სურვილისა, დასასრული ახლა გარდუვალია“.**

რუსეთის რევოლუციის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა გაუმჯობესდა ჯერ რუსეთის ევროპულ ნაწილში, შემდეგ ამიერკავკასიაში. იგი თავის მოკავშირეს თურქეთს ეხმარებოდა არა მარტო დაკარგული ტრაპიზონის, ერზრუმის, ვანის ოლქების ხელახლა ოკუპაციაში, არამედ ბრესტ-ლიტოვსკში დაეხმარა რუსული ტერიტორიების – ბათუმის, ყარსის და არდაღანის გადაცემაში. გერმანელები და თურქები განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ ამ ოლქებში, დაიპყრეს სხვებიც და ირანის ტერიტორიაზეც კი შევიდნენ. ისლამური სამყაროს და ცენტრალურ სამფლობელოთა თვალში გერმანულ-თურქული ძალების წინსვლა ნიშნავდა მორალურ გამარჯვებას, რითაც დამპყრობლებს ენიჭებოდათ სტრატეგიული და მატერიალური უპირატესობები. ეს შეტევები ემუქრება ამ ქვეყნებში თვით ქრისტიანობის არსებობას, მათ არსებობას, ვისაც გერმანელ-თურქი დამპყრობლები თვლიან თავიანთი ამბიციებისა და აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებათა ხელისშემშლელად და, ასევე, ანტანტის ქვეყნებისათვის სერიოზულ სიძნელეებს შექმნიან.

**1918 წლის 11 მაისს განახლებულ მოლაპარაკებებზე (ბათუმში გერმანია მონაწილეობდა შუამავლის სახით) თურქეთმა, სამხედრო მიღწევებით ფრთაშესხმულმა, წამოაყენა უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ამიერკავკასიას უნდა დაეთმო ერევნის გუბერნიის ორი მესამედი, თბილისის გუბერნიის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, თურქეთის კონტროლს ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზა.**

**ამიერკავკასიისადმი დამოკიდებულების საკითხში თურქეთის წარმომადგენლობით წრეებში აღინიშნებოდა სამი მიმართულება:**

**პირველი** – ვაჰიბ-ფაშას თაოსნობით თვლიდა, რომ მოლაპარაკებების დროს უნდა იყოს დაცული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები;

**მეორე** – თალათ-ბეის მეთაურობით თვლიდა აუცილებლად, რომ ამიერკავკასიისათვის ჩამოერთვათ სხვა ტერიტორიებიც;

**მესამე** – ენვერ-ფაშას თაოსნობით მოითხოვდა თურქეთისადმი ამიერკავკასიის მიერთებას.

საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი ა. ჩხენკელის მიერ მიწერილ წერილში ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ ნათქვამი იყო, რომ თურქები მიისწრაფვიან აზერბაიჯანის სრული ანექსიისაკენ და აპირებენ, ხანად დასვან ენვერ-ფაშას ძმა – ნური-ფაშა.

**„ყველგან ამიერკავკასიაში თურქებს ჰყავთ თავისი აგენტები, რომლებიც ეწეოდნენ პროპაგანდას მუსლიმურ მოსახლეობაში და ამ მხარის ყოველი მხრიდან, პატარა ქალაქებიდანაც კი, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ბათუმისაკენ იგზავნებოდა სწორედ ამ აგენტების მიერ ინსპირირებული თხოვნები მფარველობის შესახებ“.**

*ახალციხის მუსლიმანურმა კომიტეტმა თურქეთის დელეგაციას გადასცა მოთხოვნა ახალციხის მაზრის დაუყოვნებლივ თურქეთთან მიერთების შესახებ. ამის საპასუხოდ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ წარმოადგინა სტატისტიკური ცნობები, რომლის თანახმადაც ახალქალაქის მაზრის 100-ათასიანი მოსახლეობიდან მუსლიმები მხოლოდ 26 ათასს შეადგენდნენ.*

ამასთან დაკავშირებით, ა. ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა: **„თურქებმა გადაწყვიტეს, გაგზავნონ ჯარები სოხუმის ასაღებად და დაიწყეს შესაბამისი მზადება. მაგრამ მალევე იქნა მიღებული ცნობა, ჩვენ მიერ სოხუმის აღებისა და კომუნისტების განდევნის შესახებ. ეს ცნობა მეხივით გავარდა, ვინაიდან მოვლენათა ასეთ შემობრუნებას ისინი არ მოელოდნენ და იძულებული იყვნენ, ხელი აეღოთ თავის ჩანაფიქრზე“.**

ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებამ გააშიშვლა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში სეიმის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს – მენშევიკებს, მუსავატელებსა და დაშნაკებს – შორის არსებული უთანხმოების სიღრმე.

მუსავატელები აშკარად მიილტვოდნენ თურქეთისაკენ და არ იქნებოდნენ წინააღმდეგი მისი პროტექტორატისა. ასეთ რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დახმარება და მფარველობა ეთხოვა გერმანიისათვის. 14 მაისს შესაბამისი თხოვნა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას, სადაც ნათქვამი იყო:

**„1. საქართველოს ეროვნული საბჭო გამოხატავს სურვილს და თხოვნას, რომ გერმანიამ ხელი შეუწყოს საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების შეძლებისდაგვარად უმტკივნეულო გადაწყვეტას;**

**2. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ თავისი გზა ჩრდილო კავკასიისაკენ და იმდენად მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი გახდეს მათთან კონტაქტების დამყარება და საქართველოს დაცვის უზრუნველყოფა გარეშე საშიშროებისაგან;**

**3. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, ამის გაკეთებამდე დატოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და დაევალოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ჯარები შინაგანი წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად“.**

თურქები ცდილობდნენ, ახალი ულტიმატუმის წარდგენამდე დაეკავებინათ მხარის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი და ყველა დაეყენებინათ მომხდარი ფაქტის წინაშე. მათი მთავარი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა ოფიციალური ულტიმატუმის წარდგენის გარეშე. მათ, ფაქტობრივად, განახორციელეს იგი. თურქეთის ამ მოქმედებასთან დაკავშირებით გენერალი **ფონ ლოსოვი ურჩევდა საქართველოს წარმომადგენლებს, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ეთხოვათ გერმანიისათვის მფარველობა. ფონ ლოსოვის სიტყვებით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც გადაარჩენდა საქართველოს თურქეთის შემოსევისა და დაღუპვისაგან“.**

საქართველო დარჩა გერმანიის გავლენის სფეროში. ამრიგად, გერმანია საქართველოს მოწვევის გარეშე აპირებდა ამიერკავკასიაში განმტკიცებას, მაგრამ საქართველოს ოფიციალური მიმართვა დახმარებისათვის მას აძლევდა საშუალებას, **მოსულიყო არა „ოკუპანტის“, არამედ მფარველის სახელით და საქმე ჰქონოდა მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყანასთან. შემთხვევით არ იყო, რომ გერმანიის სარდლობა სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს თხოვნას, რადგან, როგორც იგონებს ფელდმარშალი ლუდენდორფი, ამან თურქეთისაგან დამოუკიდებლად შესაძლებელი გახადა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება. „ამიტომ მე ვშუამდგომლობდი იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის“.**

თემურ ქორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლა და ცხოვრება?

*სასკოლო განათლების დონით საქართველო ლიბანისა და იორდანიის გვერდითაა*

**ავთანდილ არაბული:** შემთხვევითი და არაკვალიფიცირებული ავტორის სახელმძღვანელო „ფალსიფიცირებული წამლის“ ტოლფასია.

**სასკოლო განათლება უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების ფუნდამენტია. როგორია ეს ფუნდამენტი დღევანდელ საქართველოში მსოფლიო სასკოლო განათლების ფონზე? —ამ კითხვაზე პასუხს მსოფლიო განათლების კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ მსოფლიოს 60 ქვეყანაში მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და მშობლიურ ენაში ჩატარებული კვლევები იძლევა. შედეგები ჩვენთვის სავალალო აღმოჩნდა. „პირველად საქართველოში“, სასკოლო განათლების თვალსაზრისით, ბოლოდან პირველ ჯგუფში ლიბანის, ტაილანდის, იორდანიის, ბახრეინის, ეგვიპტის, სირიისა და ალჟირის გვერდით აღმოვჩნდით.**

**სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხისა და შინაარსის შესახებ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ავთანდილ არაბულს ვესაუბრებით:**

– მშობლიური ენის გრამატიკა უნდა იყოს ბავშვისთვის ადვილად ასათვისებელი. დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში გაუმართლებელია ლიტერატურული ტექსტისა და ენობრივი ამოცანების გამიჯვნა. ფაქტობრივად, ჩვენ 70-იან წლებამდე არსებულ ტრადიციას დავუბრუნდით.

განათლების სისტემა პირამიდას შეიძლება შევადაროთ, რომლის წვეროც ჩვენი აღსაზრდელია. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მყარ განათლებას, თუ განათლების სისტემა საფუძვლიდან მკვიდრად იქნება აგებული.

ჩვენი განათლების სისტემა კი უფრო ბაბილონის გოდოლის მშენებლობას ჰგავს, ვიდრე პირამიდისას. მას არ აქვს არავითარი კონცეფცია, ანუ ფუნდამენტი. **არ არის გააზრებული ცალკეული „მოქმედებების“ ადგილი ერთიან სისტემაში. რეფორმისა და ცვლილებების გზა იყო ცდებისა და შეცდომების მეთოდი, რომელმაც შეცდომების კასკადთან მიგვიყვანა.** ერთ დროს, არც თუ სათაკილო ქართული სკოლა, 3-4 წელიწადში სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა... მოშლილი სასკოლო პროცესი, გაქსუებული ბავშვი, ცოდნის, წიგნიერების კატასტროფული კლება... **ახალმა სისტემამ ვერ „იმუშავა“.** როდესაც გოგებაშვილისა და უზნაძის მშობელი ქვეყანა საგანმანათლებლო გზებს სხვაგან ეძებს, ეს ან **„შინაური მღვდლის“**, ან **„თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასო“**-ს სინდრომს გვაგონებს.

**სასიხარულოა, რომ წელს „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ მცდელობით მოხერხდა, „დედა ენას“ თავისი ადგილი დაებრუნებინა სკოლაში.**

**თუმცა მაღალი დონის სახელმძღვანელოთა გვერდით ისეთი სახელმძღვანელოებიც გვაქვს, რომელთა სკოლაში შეტანა საგანგაშოც კია.**

2003 წლამდე ალტერნატიულ სახელმძღვანელოთა ვიზირება თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოს იყო მინდობილი და შერჩევა ობიექტურად მიმდინარეობდა. შემდეგ კი ადრე გამარჯვებული ბევრი სახელმძღვანელო უსამართლოდ იქნა გაძევებული სკოლიდან. **ექსპერტთა ჯგუფი ახლა სამინისტროსთან არსებობს და ისეც მომხდარა, რომ ამ ჯგუფის მიერ დაწუნებული სახელმძღვანელოსთვის სამინისტროს მიუცია ვიზა. სპეციალური მექანიზმებით ოფიციოზმა თავად დაიწყო სახელმძღვანელოთა შერჩევა-დანერგვის მართვა.** ამ სფეროში პრობლემაწარმომქმნელ კიდევ რამდენიმე რგოლს გამოვყოფდი:

**1. გამომცემლობა და არა ავტორი, აღიჭურვა სახელმძღვანელოს „შემოქმედის“ უფლებით. ამან განაპირობა ავტორთა დაკაბალება გამომცემელთა მიერ, მათი განუკითხავი მონოპოლია სახელმძღვანელოთა ბაზარზე, მათი აქტიური ჩარევა არა მარტო კომერციაში, არამედ პოლიტიკურ გარიგებებშიც;**

**2. რეფორმის პერიოდში შექმნილ ტრენერთა ინსტიტუტი, რომელიც რეფორმისტული სიახლეების მასწავლებლებამდე მიტანის ნაცვლად, ავტორის უფლებით აღიჭურვა. ინტერესთა კონფლიქტი „ინტერესთა ჰარმონიად“ გადაიქცა. ამან დიდწილად განაპირობა გაწაღმართებული სასწავლო პროცესის საბოლოო ამღვრევა.**

**3. რესურსცენტრები (ყოფილი განათლების განყოფილებები), რომელთა ფუნქცია მასწავლებლისთვის სახელმძღვანელოს შერჩევაში დახმარებაა. და ისინიც ეხმარებიან მასწავლებლებს ურჩევენ ხელისუფლების ფავორიტი გამომცემლების (ავტორების) სახელმძღვანელოებს. ამრიგად, ეს რგოლიც მოხერხებულად გამოიყენება პროცესების ზემდგომთა სასარგებლოდ მართვისთვის.**

მე ვნახე ყვარლის რაიონის სკოლაში დაფაზე ჯერ კიდევ ივლისის თვეში გამოკრული სახელმძღვანელოთა სია, რომელიც რესურს ცენტრის მიერ იყო რეკომენდირებული (ასე განაცხადეს იქ მყოფებმა). ზარალდება მოსწავლე, ზარალდება მასწავლებელი, რომელიც ვერ ახერხებს სახელმძღვანელოს არჩევას. ზარალდება კვალიფიციური ავტორი. ზოგიერთი ავტორი კი საკუთარ საგანში გამოცდას დამაკმაყოფილებლადაც კი ვერ ჩააბარებს, რომ გამოცადო.

**გამომცემელთა მომძლავრებით აღზევებული შემთხვევითი არაკვალიფიციური ავტორების ქმედებას მე „ფალსიფიცირებული წამლების“ დამამზადებლების ქმედებას ვუთანაბრებ.**

ისინი იღებენ მათივე დონის ავტორთა წიგნებს და იწყებენ გადახატვას. **მათ არც კონცეფცია აქვთ, არც თანამედროვე სკოლის მოთხოვნები იციან. ამ ავტორმა მხოლოდ ის იცის, რომ, „თუ ქვას არ ისვრის“, სახელმძღვანელოს დაუმტკიცებენ. დანარჩენი საქმოსნობის საქმეა, რასაც მრავალნაცადი გამომცემელი ახერხებს.**

**ერთი ავტორი, მაგალითად, წერს: მოქმედებითი გვარისაა ზმნა, რომელსაც მოქმედი სუბიექტი აქვს (წერს), მაგრამ ქართულ ენაში ვნებითი გვარის ზმნების უმრავლესობას მოქმედი სუბიექტი მოეპოვება (ომობს).**

**როცა ძველი ქართული ლიტერატურა და სასულიერო მწერლობა „მკვდარ მწერლობად“ გამოცხადდა, საზოგადოებამ, მასწავლებელთა კორპუსმა არ მიიღო ისტორიზმის უგულებელყოფა და რეფორმატორებმაც უკან დაიხიეს. თუმცა ეროვნულ-ისტორიული მუხტის შემცირება წელსაც მოხდა, კონკრეტულად კი, ეროვნული გამოცდების პროგრამიდან ამოღებულია ალ. ყაზბეგი.**

ბავშვი უნდა დაუბრუნდეს სკოლას, სკოლა კი – ქართველ ერს. სკოლას უნდა დაუბრუნდეს ცოდნის შემოწმების საშუალება – გამოცდები. მასწავლებელი თავისუფალი უნდა გახდეს სახელმძღვანელოს არჩევანში და მას უნდა დაუფასდეს შრომა.

ყოველივე ეს კი არსებული სისტემის პირობებში რამდენად შესაძლებელია, ძნელი სათქმელია.

**P.S.** **გოგებაშვილი დავიბრუნეთ, ყაზბეგი კი დავკარგეთ. რა იქნება შემდგომ? შემდგომ, ანუ სანამ ჩვენი ინტერესები მხოლოდ პოლიტიკით შემოიფარგლება და განათლების ნგრევას საზოგადოება შეგუებულია, იქნება საყოველთაო დაჩლუნგება (ამის ნიშანი ისიც არის, რომ ეროვნულგამოცდებგამოვლილმა ზოგიერთმა პირველკურსელმა გამრავლების ტაბულაც არ იცის წესიერად). გამოვფხიზლდეთ, ქართველებო, მივცეთ „ნიჭსა გზა ფართო“, როგორც გრიგოლ ორბელიანი, ბოდიში, რუსთაველი ბრძანებდა (აქ მე, ჩემთვის უჩვეულოდ, ვქილიკობ. მაპატიეთ, მეტს „არ ვიზამ“).**

დალი ქვირია.

# პრინცი გურგენის საქმენი საგმირონი და სახალხო ბანკის სამარცხვინო აფერა

**ჩვენი „აღმშენებლი“ საჭეთმპყრობელის ბაქიობის მიუხედავად, კრიზისი საქართველოსაც შეეხო და განსაკუთრებით ქართულ ბანკებზე აისახა. რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სახალხო ბანკი, ფინანსური პრობლემების შესახებ ბოლო დროს ხშირად საუბრობდნენ. ზარალს განიცდიდა, რის გამოც 2009 წლის პირველი კვარტლის ფინანსური შედეგების გამოქვეყნებას თავი აარიდა. ექვსი თვის შედეგებით, ბანკის ზარალმა 20 მილიონ ლარს მიაღწია. ამის გამო შეწყდა კრედიტების გაცემა და იკლო დეპოზიტებმა.**

ლამის გაკოტრების პირას მისულ სახალხო ბანკს მშველელად არაბულ, უფრო სწორად, რუმინულ რაშზე ამხედრებული **„პრინცი გურგენი“**, იგივე ლადო გურგენიძე გამოუჩნდა, რომელმაც ხალხის სამსახურში მყოფი **„მძინარე“** ბანკი გამოაღვიძა და გაკოტრებას გადაარჩინა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც ფულის სიყვარულის გამო, ჯერ კიდევ პრემიერობისას, სათვალიანი ვირთხა შეარქვეს (ბოდიში, მაგრამ ოპოზიცია ასე ეძახდა), სახალხო ბანკის აქციათა 91% რუმინელ ბიზნესპარტნიორთან, **„რომპეტროლის“** ყოფილ მფლობელ დინუ პატრიციუსთან ერთად 15 მლნ აშშ დოლარად შეიძინა.

**საინტერესოა, როგორ მოახერხა გურგენიძემ ზარალის მქონე ბანკის ყიდვაზე რუმინელი მილიარდერის დაყოლიება, თუმცა ფაქტი ჯიუტია: დაიყოლია და რუმინეთში ყველაზე მდიდარი ადამიანის ბიზნესპარტნიორიც გახდა.** შეგახსენებთ, რომ ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, დინუ პატრიციუ რუმინეთში უმდიდრესი კაცია და მისი ქონება 2,5 მილიარდ დოლარს აღწევს. იგი კომპანია „რომპეტროლის“ დამფუძნებელია, რომელიც შარშან ყაზახურ „ყაზმუნაიგაზს“ მიჰყიდა. სწორედ ამ ადამიანის ბიზნესპარტნიორი გახდა ჩვენი „პრინცი გურგენი“.

ურიგო არ იქნება ჩვენი **„პრინცის“** მოკლე ბიოგრაფიაზე თვალის გადავლება. **2006 წლის მაისში ლადო გურგენიძე არჩეულ იქნა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. სამეთვალყურეო საბჭოში არჩევამდე, 2004 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ლადო გურგენიძე საქართველოს ბანკის გენერალურ დირექტორად მუშაობდა. 2007 წლის 22 ნოემბრიდან 2008 წლის 27 ოქტომბრამდე იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამჯერად კი კომპანია იბერტყ-ს გენერალური დირექტორის თანამდებობა უკავია.**

როგორც ვხედავთ, გურგენიძემ მოკლე დროში ბიზნესში წარმატებას მიაღწია, თუმცა მისი ბიზნესწარმატება ხშირად პოლიტიკური ძალების ინტერესის თანხვედრი რომ იყო, ფაქტია. იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არ არის, ძალიან მარტივად შეიძლება პოლიტიკური ინტერესები ბიზნესინტერესებს დაემთხვეს. ამის გამოცდილება **„პრინც გურგენს“** უკვე აქვს. ახლა კი საინტერესოა, რამდენად დაეხმარება მას ეს გამოცდილება სახალხო ბანკის აღორძინებაში.

**შეგახსენებთ, რომ პენსიების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიების, აკადემიური სტიპენდიების გაცემას სახალხო ბანკი, ბოლო 6 წელია, ეწევა. მან 2012 წლამდე პენსიების გაცემის უფლება მოიპოვა, თუმცა აქედან ბანკი მოგებასაც ნახულობს. 2009 წლის იანვრიდან მოყოლებული, სახალხო ბანკი საპენსიო მომსახურებაში საკომისიოს სახით – 1,7%-ს, დევნილთა დახმარებების გაცემაში კი 1.33%-ს იღებს. გურგენიძის თქმით, სახალხო ბანკს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ყოვლისმომცველი ფილიალების ქსელისა და საპენსიო მომსახურების ხარჯზე. ის ეცდება სახალხო ბანკი ქართული ბანკების პირველ ხუთეულში მოახვედროს. თუმცა სახალხო ბანკმა ისეთი ტემპით თუ განაგრძო მოსახლეობის ყვლეფა, როგორც ახლა, შესაძლოა, პირველ ადგილზეც აღმოჩნდეს.**

სახალხო ბანკის მომსახურებით სულ უფრო მეტი ადამიანია უკმაყოფილო. აღარაფერს ვამბობ სამუშაო პერსონალის დაბალ კვალიფიკაციასა და უტაქტობაზე. თუმცა ახლა სულ სხვა რამეზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. ეს ამბავი თავს თქვენს მონა-მორჩილს გადამხდა.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას სახალხო ბანკიდან ერთი წლის ვადით სტუდენტური სესხი გამოვიტანე, რაც სამ თვეში მთლიანად დავფარე. მას შემდეგ უკვე მეორე წელი გავიდა და სახალხო ბანკთან არანაირი შეხება არ მქონია. რამდენიმე დღის წინათ ბანკის კრედიტ-ოფიცერმა შემახსენა თავი, მითხრა, ბანკში ჩემს სახელზე რიცხული დავალიანება დამეფარა. გამიკვირდა და გადავამოწმე, თუ რა დავალიანებაზე იყო საუბარი. ბანკში ვერაფერი ვერ ამიხსნეს, მხოლოდ მითხრეს, რომ დავალიანებაა ჩემს სახელზე, თუმცა საიდან გაჩნდა ეს დავალიანება, არ იციან.

**თურმე ამ დროში შავ სიაში ჩემი, როგორც ურჩი გადამხდელის, „გაწევრებაც“ მოუსწრიათ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფერი გავარკვიე, მითხრეს, – უნდა გადაიხადო, სხვა გამოსავალი არ არისო.**

როცა ამას მეუბნებოდნენ, ქალბატონის ყვირილის ხმა მომესმა. აღმოჩნდა, რომ ისიც ჩემს მდგომარეობაში ყოფილა. სრულად დაუფარავს ბანკიდან გამოტანილი კრედიტი, ახლა კი ეუბნებიან,– დავალიანება გერიცხებათ და უნდა გადაიხადოთო. ქალბატონი ამ თანხის გადახდაზე არ თანხმდებოდა და მოლარეს დაემუქრა: **„გიჩივლებთ და ორ ამდენს აქეთ გადაგახდევინებთ!“** და ბანკიდან გავიდა. მეც რაღა დამრჩენოდა, გამოვედი.

**საინტერესოა, სად იყო ამდენი ხნის განმავლობაში ბანკი ან ეს კრედიტ-ოფიცერი, რატომ დროულად არ შემატყობინეს მე ან თუნდაც იმ ქალბატონს, რომ დავალიანება გვქონდა, ეს ხომ კლიენტის უპატივცემულობა და აბუჩად აგდებაა?! განა ამას ქვია ხალხის სამსახური? ნუთუ ასეთი მაქინაციებით უნდა გურგენიძეს ქართული ბანკების ხუთეულში მოხვედრა და რესტრუქტურიზაცია? ჯერ იყო და, პრემიერმინისტრობისას ხალხი სხვა მინისტრებთან ერთად ყვლიფა, ახლა კიდევ ბანკის საშუალებით უნდა ამის გაკეთება.** ნუთუ არ შეიძლება ამ ადამიანებისგან საბოლოოდ გათავისუფლება, როდემდე უნდა ასხდნენ ქართველ ხალხს წურბელებივით და სისხლს სწოვდნენ?!.. ალბათ, მანამ, სანამ ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ არ ეტყვის მათ ჩვენი **„აღმშენებელი“** პრეზიდენტის საყვარელ და საამაყო ფრაზას: **„ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით!!!“**

ალექსანდრე აკობია

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები
# "ბოკა ხუნიორსი" ბუენოს-აირესი, არგენტინა.

დაარსებულია 1905 წელს.

სტადიონი: **"ბომბონერა"**, 60.000 მაყურებელი,

**არგენტინის ჩემპიონატის** 23-გზის გამარჯვებული,

**საკონტინენტთაშორისო თასის** მფლობელი 1977 და 2000 წლებში,

**ლიბერტადორესის თასის** მფლობელი 1977, 1978, 2000 და 2001 წლებში,

**სამხრეთ ამერიკის სუპერთასის** მფლობელი 1989 წელში,

**ინტერამერიკული თასის** მფლობელი 1989 წელში.

არგენტინის დედაქალაქის საფეხბურთო კლუბები **"ბოკა ხუნიორსი"** და მისი მუდმივი მეტოქე და კონკურენტი, **"რივერ პლეიტი"** დაარსების დღიდან წარმოადგენდნენ ქვეყნის საფეხბურთო სამყაროს ხერხემალს. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ამ შესანიშნავი გუნდის ჩამოყალიბებაში არგენტინელებს მონაწილეობა არ მიუღიათ. არგენტინული ფეხბურთისათვის მართლაც საშვილიშვილო საქმის ინიციატორები იყვნენ ჩრდილოეთ ირლანდიელი ფეხბურთის სპეციალისტი პატრიკ მაკარტი და იტალიელ ემიგრანტთა ჯგუფი, რომლებაც პირველებმა განსჭვრიტეს არგენტინელ მოყვარულთა საფეხბურთო პოტენციალი. შეიძლება ითქვას, რომ პირველი არგენტინული საფეხბურთო გუნდი მათ ქვეყნის ქალაქთა ქუჩებში მოთამაშე ფეხშიშველა ყმაწვილებისაგან დააკომპლექტეს, რომლებიც სათანადო წვრთნის შემდეგ მსოფლიო დონის ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ და არაერთ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს.

1913 წელს **"ბოკა ხუნიორსი"** ქვეყნის საფეხბურთო ლიგაში გაწევრიანდა და იმავე დღიდანვე აქტიურად ჩაერთო არგენტინის საფეხბურთო ორომტრიალში. სხვა სახელს ვერც მოუძებნი 1920-იანი და 1930-იანი წლების არგენტინულ საფეხბურთო სამყაროში მიმდინარე პროცესებს, რადგან ქვეყანაში ტარდებოდა ორი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი. **"ბოკა ხუნიორსი"** თითქოს შეუმჩნევლად გადავიდა ერთი საფეხბურთო ერადან მეორეში. მან არგენტინის მოყვარულ ფეხბურთელთა უკანასკნელი თასი მოიპოვა 1930 წელს, 1931 წელს კი გახდა ერთიანი არგენტინის პროფესიონალთა ლიგის ჩემპიონი. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში **"ბოკა ხუნიორსი"** კიდევ ორჯერ დაეუფლა არგენტინის ჩემპიონის ტიტულს.

1940 წლიდან 1950 წლამდე **"ბოკა ხუნიორსი"**, მისდა სამწუხაროდ, **"რივერ პლეიტის"** ჩრდილში მოექცა და მხოლოდ 1963 წელს ავიდა სერიოზული საკლუბო გათამაშების ოლიმპზე. მაშინ გუნდში მოთამაშე ბრწყინვალე ფეხბურთელის ხოსე სანფილიპოს გოლების წყალობით **"ბოკა ხუნიორსი"** ლიბერტადოსის თასის გათამაშების ფინალში გავიდა.

მაგრამ ფინალში ბედმა აშკარად უმუხთლა **"ბოკა ხუნიორსს"** და ამ პრესტიჟულ ტურნირში გამარჯვებას გუნდმა მხოლოდ 70-იან წლებში მიაღწია. შემდეგ გუნდი სამჯერ ზედიზედ გავიდა თასის გათამაშების ფინალში. 1977 წელს დაამარცხა ბრაზილიის **"კრუზეირო"**, 1978 წელს კი ფინალი მოუგო კოლუმბიის **"დეპორტივოს"** ქალაქ კალიდან. მაგრამ 1979 წელს ფინალში დამარცხდა პარაგვაის საფეხბურთო გუნდ **"ოლიმპიასთან"**.

**"ბოკა ხუნიორსი"**, რომელსაც წვრთნიდა მსოფლიოში აღიარებული ფეხბურთის შესანიშნავი სპეციალისტი ხუან კარლოს ლორენცო, გამოირჩეოდა შემტევი, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ აგრესიული და უხეში სტილით, არაერთგვაროვანად იყო ხოლმე აღქმული მსოფლიო ფეხბურთის სამყაროში. სწორედ ამ წინააღმდეგობათა შედეგი გახლდათ ის, რომ 1978 წელს, როცა არგენტინის ნაკრებმა მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი და მისი ისტორიის მანძილზე პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი, გუნდის შემადგენლობაში არ თამაშობდა **"ბოკა ხუნიორსის"** არცერთი ფეხბურთელი. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თავისთავად, **"ბოკა ხუნიორსი"** უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი, როცა 1977 წელს დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიუნხენ-გლადბახის **"ბორუსია"** და დაეუფლა მსოფლიოს "**საკონტინენტთაშორისო თასს**".

1981 წელს გუნდში გამოჩნდა განუმეორებელი დიეგო არმანდო მარადონა და მთელი გუნდი მის პარამეტრებზე და სათამაშო სტილზე **"გადაეწყო"**, მაგრამ პირველ დიდ წარმატებას ამ გუნდმა მხოლოდ 2000 წელს მიაღწია. ამ დროისათვის **"ბოკა ხუნიორსი"** ორჯერ გახდა **"ლიბერტადორესის"** თასის მფლობელი. ერთხელ მან გათამაშების ფინალში ბრაზილიის **"პალმეირასი"** დაამარცხა, მეორეჯერ კი მექსიკის **"კრუზ აზული"**. უფრო დიდი წარმატება კი თურმე წინ იყო – თავისი არსებობის მანძილზე **"ბოკა ხუნიორსი"** მეორედ გახდა საკონტინენტშორისი თასის მფლობელი, როცა ფინალურ მატჩში დამაჯერებლად დაამარცხა მადრიდის **"რეალი"**.

გიორგი ჯალაღანია



# იუმორი

– ჭამის შემდეგ კუჭის ამორეცხვას, ჭამამდე ხელების დაბანვა სჯობს...

ორი დაქალი საუბრობს:

– ქმარს, რა თქმა უნდა, ვუყვარვარ, მაგრამ მემუქრება, ასი კილო თუ გახდები, გაგეყრებიო.

– მერე, ახლა რამდენი კილო ხარ?

– განქორწინებამდე ასი გრამი მაკლია...

– ალო, სად მოვხვდი, მორგში?

– არა, ჯერჯერობით მხოლოდ რეკავთ...

გამარჯობათ, როგორაა თქვენი ჯანმრთელობის საქმე?

– გმადლობთ, თქვენის ლოცვა-კურთხევით...

– თუ ასეა, დიდხანს ვერ გაატანთ!

არჩევნები ძირითადად ტარდება ცნობილი ფილმის – "უცხო – მტაცებლის წინააღმდეგ" მოტივით. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ხალხი ყოველთვის აგებს.

# სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას **„ეფრემ ვერდის"** წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ:

– **შენი თავის გამდიდრება ნახო** – კარგია, გაიხარებ;
– **შორეული მგზავრი ნახო** – სიხარული მოგემატოს;
– **შტვენა რომ გაიგო** – საშიშ ამბავს გაიგებ;
– **შადრევანი ნახო წყლით** – მეტისმეტად კარგი არის;
– **შენობის აშენება** – კარგია და ოჯახური ბედნიერებაა;
– **შარბათის სმა, ანუ ყიდვა** – კარგია ყოველთვის;
– **ჩამოვარდნა მაღლობიდან** – ცუდია, ძალიან შერცხვები;
– **ჩარდახის ნახვა** – არეულობისა და ცეცხლის ნიშანია;
– **ჩანგის დაკვრა** – დიდი მწუხარება არის;
– **ჩოხა შავი ჩაიცვა** – ცუდია, თეთრი – კარგია;
– **ჩიტის ნახვა** – ცუდია, ცრუ ვინმეს გაიცნობ;
– **ჩექმა ძველი გეცვას** – ცუდია, ახალი – **კარგია.**





წიგნის მაღაზიებში იყიდება
პროფესორ
კლიმენტი შელიას მეტად
საინტერესო წიგნი
კოლხეთი — ჩვენი
სამყაროს კარიბჭე.
ახლახან კი წიგნის
მაღაზიის დახლებზე
გამოჩნდა კლიმენტი შელიას ახალი,
არანაკლებ საინტერესო წიგნი
კაცობრიობის ისტორია
კოლხეთით იწყება,
რომელშიც აღწერილია
პრეისტორიული ხანის
კოლხეთის მრავალმხრივი
ფენომენი.
დაინტერესებულმა პირებმა სასწრაფოდ
მიმართონ წიგნის მაღაზიებს, რადგან
აღნიშნული ნაწარმოებები ბესტსელერია
და მალე გაქრება წიგნების ბაზრიდან.




საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
**"საქართველო და მსოფლიო"!**



გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1
სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

anaklia@web.de
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27